საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 31 აგვისტო 2004 №201 (2222) ფასი 50 თეთრი




# ლხინი აქა!



# მოლოდინი

## ათენის გმირები აეროპორტიდან გააპარეს

ათენი-თბილისის თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში ზუსტად თერთმეტ საათზე დაეშვა, მაგრამ ძირითადი ამბები აეროპორტის ტერიტორიაზე მანამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. ოთხივე მედალოსნის დამხვდური დელეგაციები შეიკრნენ და ცეკვა-თამაში გააჩაღეს. სასმისების გადაწოდება და საცეკვაო წრეებში გადაპატიჟებაც ჩვეულებრივი ამბავი იყო. ყველა ყველას მეგობარი იყო და ყველა ყველას ეხუტებოდა.

ნესტორ ხერგიანის ქომაგებს სვანური მელოდიებით მიაგნებდით. ზურნა-დოლ-გარმონი სვანურ საცეკვაოს აგუგუნებდა და წრეს არც მომღერ-ხელისგამშლელები აკლდა. ზვიადაურის მომლოდინე დელეგაცია სიმრავლით აშკარად ყველას სჭარბობდა. ცხადია, არც ტრანსპარანტები და საქეიფო ატრიბუტები დავიწყებოდათ. საჩხერის ასევე მრავალრიცხოვანი ჯგუფი გიორგი ასანიძის სურათებით „შეიარაღებულიყო", საცეკვაო წრეც შეეკრათ და ყოველი ცეკვის შემდეგ სადღეგრძელოებსაც იძახდნენ. მთავარი სადღეგრძელო გიორგის დღეობისა იყო. გიორგი გუშინ 29 წლის გახდა. რამაზ ნოზაძის გულშემატკივრებს კი ათენის ვერცხლოსნის სურათიანი მაისურები მოერგოთ.

დამხვდურთა საერთო რაოდენობა ალბათ 2 ათას კაცს სჭარბობდა. საქართველოს დროშებიც მრავლად იყო და მოკლედ, აეროპორტში მისულთ ისე დაგვაჟრიალა, მგონი, ოთხივე მედლის სიხარული ერთად აღებული ვერ შეედრებოდა. სრულ ბედნიერებას და ზეიმს ათენის გმირების გამოჩენაღა აკლდა. წესით იქამდე წამებიღა გვაშორებდა, რადგან თვითმფრინავის დაშვებას ცოტა ხნის წინ თავად ვუცქირეთ... მაგრამ კულმინაციის მოლოდინში გარინდული ხალხი იმედგაცრუებული დარჩა.

აეროპორტის ტერიტორიაზე ერთი კაციც ვერ მოვძებნეთ, სპორტსმენების გამოსასვლელი კარი რომ სცოდნოდა. დაბნეული ხალხი იქით დაიძრა, საიდანაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ესკორტი უნდა გამოსულიყო. პრეზიდენტი ხომ საბერძნეთიდან დელეგაციასთან ერთად დაბრუნდა. სააკაშვილი მალე გამოჩნდა. ხელიც დაგვიქნია და წავიდა, ჭიშკარი კი საიმედოდ დაიკეტა და სპორტსმენების ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. ზოგმა თქვა, მედალოსნები პრეზიდენტს გაჰყვნენო, უმეტესობამ მაინც მიკროფონიან პატრულს დაუჯერა და ჩვეულებრივი გამოსასვლელისკენ გაემართა. დაახლოებით ნახევარსაათიანი ცდის შემდეგ ხმა დაირხა, ყველანი თავისუფლების მოედნისკენ, კონცერტზე გააპარესო და ხალხმაც დაშლა იწყო.

მერიის წინ მისულთ სცენაზე ქართული ესტრადა დახვდათ და ხალხური საკრავებიც ველარაფერში გამოიყენეს. ის კი არა, გაძლიერებულ დაცვაში მოქცეულთ სხვა, უსაფრთხო ადგილზე გადანაცვლებაც კი არ შეეძლოთ. წესრიგის დასაცავად მთელი ქართული სამართალდამცავობა გამოსულიყო. ხალხის გარშემო ცოცხალი ჯაჭვი კი არცთუ დიდი ხნის წინ ახალი მთავრობისგან ათვალწუნებულ ლიპიან პოლიციელებს შეეკრათ. ძნელი სათქმელია, ახალი კადრები მოსუქდნენ თუ ძველებმა უბრალოდ ენთუზიაზმზე მუშაობის ერთი დღე აჩუქეს ოლიმპიელებს, მაგრამ ფაქტია, მერიისწინა ტერიტორიიდან ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის ესკორტის წასვლისთანავე ფორმიანებიც თვალსა და ხელს შუა გაქრნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**









[illegible] ფოტოები

# სად, ქართველო?

## ჯიში აქაური, ვარჯიში იქაური. ეს უნდა დამთავრდეს



REUTERS ათენიდან

ჯარჯი ზვიადაური საბერძნეთს კიდევ ბევრ ოქროს მოუტანს

ორი ოქრო, ორი ვერცხლი, სიხარული და ტკივილი, ეიფორია და შოკი... რა აღარ განიცადა საქართველომ განვლილ 16 დღეში. ნერვების დასაწყნარებელი წამლებიც დაილია და მაინც, სიხარულის ცრემლი უფრო მეტი დაიღვარა. ორჯერ აგუგუნდა ოლიმპიადის სამშობლოში საქართველოს ჰიმნი, ორჯერ მოექცა ამაყად ყველაზე მაღლა ხუთჯვრიანი დროშა, გაგიჟებას არაფერი გვაკლდა, 18 აგვისტოს ახმეტელმა ვაჟკაცმა ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენელი ფინალში ლაზათიანი ქართული ფანდით რომ დასცა, მაგრამ...

ეს „მაგრამ" პირველად 17 აგვისტოს იყო. ეს ამბავიც ძიუდოს დარბაზში მოხდა და სწორედ ამ დღეს უნდა აჟღერებულიყო პირველად ქართული ჰიმნი, თუმც ზეთისხილის გვირგვინით შემკობილი ჯარჯი ზვიადაური, იგივე ილიას ილიადისი, ის კაცია, რომლის მზესაც მთელი საბერძნეთი ფიცულობს. და სხვაგვარად როგორ იქნება — მასპინძელთა ყულაბაში პირველი ოქრო ხომ მან ჩააჩხრიალა. ჯარჯი ზვიადაურიც ახმეტაში გამოზრდილი ბიჭია, ჩვენს გმირ ზურაბს ენათესავება და მისი გაელინელების მიზეზი ბანალურზე ბანალურია — უკეთესი პირობები. 18 წლის ზვიადაურ-ილიადისი ოლიმპიადამდე ევროპის ჩემპიონატზეც გაჩემპიონდა და, თავად წარმოიდგინეთ, როგორი ვარდით მოსილი კარიერა ელის. არადა, მის წონაში (81კგ) შოთა ხაბარელს ძალზე უჭირს...

საბერძნეთში წასული „მამლუქებიდან" გიორგი ვაზაგაშვილი ყველაზე ცნობილი სპორტსმენია, რომელმაც თავის ნამდვილ სამშობლოს სიდნეიში ბრინჯაო აჩუქა და რომელსაც მთელი საქართველო გაეტირა საბერძნეთში წასვლის წინ. კიდევ გნებავთ? კი, ბატონო, ელინელებს ამ ოლიმპიადაზე შვიდიდან ოთხი ძიუდოისტი ქართველი ჰყავდათ, რომელთაგან მხოლოდ ილიადისმა გაუმართლათ იმედები, ხოლო ვაზაგაშვილი, რევაზ ციდირიდისი და ლავრენტის ალექსანიდისი ვერაფერს გამორჩნენ. ეს უკანასკნელი გვარად გივიაშვილია და ათენში თვისტომ დავით ქევხიშვილის კლანჭებში მოქცევით იპოვა სამართალი...

მორიგი „უცხოური ქართული" ოქრო გერმანიის სახელით მოხტუნავე ბატუტისტმა ქალმა ანა დოღონაძემ მოიპოვა, რომელიც საქართველოში რომ მომზადებულიყო, ვერაფერს მოიგებდა. ეგ კი არა, აქაური სატანვარჯიშო პირობების ფონზე რუსუდან ხოფერიას მე-9 ადგილიც კი ციდან გადმოვარდნილი გვგონია.

მესამე ტრიუმფი „ბერძენ-რომაელი" ალექსანდრე დოხტურიშვილისა იყო, რომელიც კვარცხლბეკზე ჭრელაჭრულა უზბეკური მოსასხამით მორთეს. დოხტურიშვილი სართიჭალელი ბიჭია, ეგებ სულაც არ ეხატებოდეს გულზე უზბეკეთი, მაგრამ საქართველოს ნაკრებიდან მას ოლიმპიადაზე მოხვედრის პერსპექტივა არ ჰქონდა — თავის წონაში ბადრი ხასაიას კონკურენციას ვერ უძლებდა. აბა, მაშინ ვინ გათვლიდა, რომ ბადრის ათენში „გაბადრებას" ტრავმა შეუშლიდა ხელს, ხოლო მისი დუბლიორი დოხტურიშვილი ერთიმეორეზე მიაწყობდა მეტოქეებს. მაგრამ უნდა გაეთვალათ...

აქვე ვთქვათ „ყაზახს" ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მძიმეწონოსან გიორგი წურწუმიაზეც, რომელიც ხასაიას დარად, დავით დავითაიას აღზრდილია. სიყმაწვილეში წურწუმია მირიან გიორგაძის კონკურენციას შეეწირა. ათენში კი მან ვერცხლის მედალს უწია.

ათენში „ბერძნულ-რომაულ" „თავისუფლიანად" 13 „მამლუქი" ვიხილეთ: შოთა ნარმანია (ბელარუსი), გივი სისაური (კანადა), დავით ბიჩინაშვილი (გერმანანია), ბესიკ ასლანიშვილი, ემზარიოს ბეტინიდისი, ვალერიოს კოლუაშვილი (ყველა საბერძნეთი), გოჩა ციციაშვილი (ისრაელი), გიორგი წურწუმია (ყაზახეთი), გენადი ჩხაიძე (ყირგიზეთი), გიორგი გოგშელიძე, გოგი კოლუაშვილი (ორივე რუსეთი), დავით სალდაძე (უკრაინა), ალექსანდრე დოხტურიშვილი (უზბეკეთი).

და მხოლოდ ჭიდაობის სახეობებში? როგორი ასატანია, მსოფლიოს საუკეთესო წყალბურთელი გყავდეს და რუსეთის ნაკრებში ღვრიდეს ოფლს. რევაზ ჩომახიძემ, ლამის ეულად ათრია სლავები და ბრინჯაოს მედალიც ყველაზე ალალი მასზე იყო.

ჩომახიძეს გულით უნდა საქართველოს ნაკრებში თამაში და თუ ნაკრების შექმნას საშველი დაადგა, ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, მაგრამ ეს საქმე კარგა ხანია, „ცისფერი მთების ანუ ტიანშანის" მსგავსად განიხილება...

ახლა ის გულსატკენი სტატისტიკაც მოვიშველიოთ, რომელიც სიამაყესთან ერთად დიდ ტკივილსაც განგაცდევინებთ: ქართველმა სპორტსმენებმა ათენში 5 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვეს. ეს ოხერი „მამლუქობის ინსტიტუტი" რომ არა, ასეთი მონაგარით ოლიმპიადის გუნდურ ჩათვლაში მე-16 ადგილზე გავიდოდით და არც ერთ ჩვენზე პატარა ქვეყანას წინ არ გავუშვებდით! 3 ოქრო, ერთი ვერცხლი, 2 ბრინჯაო — სად გვაქვს ამდენი ჯილდო დასაკარგავი?!

იმედია, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ათენის „ქართულ სახლში" წარმოთქმული სიტყვები არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" — საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასთან ერთად ნიჭიერი ქართველი სპორტსმენების დაბრუნების პროცესიც უნდა დაიწყოს. ცხადია, ამ პრობლემის გადაჭრა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც სპორტსმენების ნება-სურვილის გარდა ბაზების კეთილმოწყობასაც ეხება.

ნოდარ დუმბაძის ერთი პატარა მოთხრობა გვახსენდება, სადაც მშობლიურ კერას დაბრუნებულ მშობლებდალუპულ ბავშვს ბაბუა ამ სიტყვებით ეგებება — „იცი, რამ დაგაბრუნა აქ? სისხლმა, ბაბუა, სისხლმა, სასწაული რამ არის სისხლი!"

**ილია ნანობაშვილი**



REUTERS ათენიდან

ალექსანდრე დოხტურიშვილი უზბეკეთის დროშის ქვეშ

# ქართველები ათენში

## კაცები

### ძიუდო

| | |
|---|---|
| ნესტორ ხერგიანი (60კგ) | ვერცხლი |
| დავით მარგოშვილი (66კგ) | მე-5 ადგილი |
| დავით ქევხიშვილი (73კგ) | მე-7 ადგილი |
| გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) | დამარცხდა პირველ წრეში |
| ზურაბ ზვიადაური (90კგ) | ოქრო |
| ივერი ჯიქურაული (100კგ) | მე-9 ადგილი |
| ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე) | დამარცხდა პირველ წრეში |

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

| | |
|---|---|
| ირაკლი ჭოჭუა (55კგ) | მე-6 ადგილი |
| აკაკი ჩაჩუა (60კგ) | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| მანუჩარ კვირკველია (66კგ) | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| მუხრან ვახტანგაძე (84კგ) | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| რამაზ ნოზაძე (96კგ) | ვერცხლი |
| მირიან გიორგაძე (120კგ) | ჯგუფიდან ვერ გავიდა |

### თავისუფალი ჭიდაობა

| | |
|---|---|
| დავით პოლოსიანი (60კგ) | მე-5 ადგილი |
| ოთარ თუშიშვილი (66კგ) | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| გელა სალირაშვილი (74კგ) | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| რევაზ მინდორაშვილი (84კგ) | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| ელდარ კურტანიძე (96კგ) | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| ალექსი მოდებაძე (120კგ) | ჯგუფიდან ვერ გავიდა |

### ძალოსნობა

| | |
|---|---|
| გიორგი ასანიძე (85კგ) | ოქრო |
| არსენ კასაბიევი (94კგ) | მე-14 ადგილი |

### კრივი

| | |
|---|---|
| ნიკოლოზ იზორია (51კგ) | დამარცხდა მერვედფინალში |
| კონსტანტინე კუპატაძე (57კგ) | დამარცხდა მეორე წრეში |

### მძლეოსნობა

| | |
|---|---|
| დავით ილარიანი (110 მ თარჯრბენი) | დამარცხდა კვალიფიკაციაში |

### ცურვა

| | |
|---|---|
| ზურაბ ხომასურიძე (200 მ. თავისუფალი) | 57-ე ადგილი |

### სპორტული ტანვარჯიში

| | |
|---|---|
| ილია გიორგაძე (მრავალჭიდი) | 22-ე ადგილი |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| ირაკლი ლაბაძე | ვერ მიიღო მონაწილეობა |

## ქალები

### მშვილდოსნობა

| | |
|---|---|
| ქრისტინე ესებუა | დამარცხდა პირველ წრეში |
| ხათუნა ნარიმანიძე | დამარცხდა პირველ წრეში |

### სროლა

| | |
|---|---|
| ნინო სალუქვაძე (პნევმატური პისტოლეტი) | მე-10 ადგილი |
| ნინო სალუქვაძე (სპორტული პისტოლეტი) | მე-8 ადგილი |

### მძლეოსნობა

| | |
|---|---|
| იულია დუბინა (სამხტომი) | მე-15 ადგილი |
| მარიამ ქევხიშვილი (ბირთვის კვრა) | მე-17 ადგილი |

### ბატუტი

| | |
|---|---|
| რუსუდან ხოფერია | მე-9 ადგილი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირლანდიურმა ვისკიმ ბრაზილიური ოქრო შეიწირა


REUTERS ათენიდან

მთვრალმა თუ შეშლილმა ირლანდიელმა ვანდერლეი ლიმას ბედნიერება წაართვა

მძლეოსნობის უკანასკნელი ოლიმპიური სახეობა, მამაკაცთა მარათონული გარბენი უცნაური ინციდენტით გამოირჩა. ბრაზილიელ ვანდერლეი ლიმას, რომელიც 35 კილომეტრის უკან მოტოვების შემდეგ უახლოეს მდევარს თითქმის ნახევარი წუთით უსწრებდა, უეცრად გალეშილი მაყურებელი გადაელობა. დაცვისგან უყურადღებოდ მიტოვებულმა ნაქეიფარმა გულშემატკივარმა სპორტსმენს ჯერ გზის გაგრძელების საშუალება არ მისცა, მერე კი ხელში სწვდა და მაყურებლებში შეათრია.

ვიდრე სამართალდამცავთა და ფხიზელ გულშემატკივართა დახმარებით ბრაზილიელი გზას დაუბრუნდებოდა, ბევრი ძვირფასი წამი დაკარგა. მართალია, სირბილი განაგრძო, მაგრამ მდევრებთან უპირატესობა ნელ-ნელა შეუმცირდა და ჯერ იტალიელმა სტეფანო ბალდინიმ გადაასწრო, მერე კი ამერიკელმა მებრატონ კეფლეზიგიმ. საბოლოოდ ადგილები ზუსტად ამ თანმიმდევრობით განაწილდა და ლიმა მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა.

ნირწმახდარი ბრაზილიელი დაჯილდოების ცერემონიალზე მაინც გამოცხდდა, მისი დასრულების შემდეგ კი ჟურნალისტებს გული გადაუშალა: „მარათონის დაწყებამდე რომ ეთქვათ, ბრინჯაოს მედალს აიღებო, ეგებ სიხარულით ცას ვწეოდი, მაგრამ ახლა იმედგაცრუებული ვარ. ვიღაც ხულიგანის საქციელმა ოლიმპიური ჩემპიონობა დამაკარგვინა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემეშინდა. მე ხომ არ ვიცოდი, ჩემგან რა უნდოდა და საით მექაჩებოდა. შიშმა და იძულებითმა შესვენებამ ალებული რიტმი დამაკარგვინა და მისი აღდგენა ველარაფრით ვერ მოვახერხე."

მარათონელს შედეგის გაპროტესტებაზე სიტყვაც არ დასცდენია, თუმც ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტი აპირებს, ლოზანაში სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი. დაზარალებული მხარე ლიმას ბრინჯაოს მედლის ოქროთი შეცვლას მოითხოვს. ამ მოთხოვნით სამხრეთამერიკელებს მარათონის დასრულებისთანავე მიუმართავთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის, მაგრამ სასტიკი უარი მიუღიათ. ერთადერთი, რაც სოკ-მა გაიმეტა, სპეციალური მედალია, რომელიც თანამედროვე თამაშების ფუძემდებელ პიერ დე კუბერტენის სახელს ატარებს. ეს პრიზი აქამდე ძირითადად ფეირ პლეის პრინციპით გამორჩეულ სპორტსმენებს რჩებოდათ.

ბოლოს ისევ აურზაურის მავან ავტორს მივუბრუნდებით და გეტყვით, რომ ლიმას შემჩერებელი ვისკით გაჭყეპილი ირლანდიელი კორნეიუსა ჰორანი გამოდგა, რომელსაც მსგავსი წამოვლები აქამდეც ჰქონია. შარშან ფორმულა 1-ის ბრიტანულ ეტაპზეც გადამხტარა ტრასაზე და დროზე უშველიათ.

**ოთარ მაღლაკელიძე**


REUTERS ათენიდან

მაიკლ ფელპსის ცურვა ექვსი ოქრო ღირს

## ორი და მეტი ოქროს მედალი

| | |
|---|---|
| **6 ოქრო** | |
| მაიკლ ფელპსი (აშშ) | ცურვა |
| **3 ოქრო** | |
| ჯოდი ჰენრი (ავსტრალია) | ცურვა |
| აარონ პირსოლი (აშშ) | ცურვა |
| **2 ოქრო** | |
| ჯერემი უორინერი (აშშ) | მძლეოსნობა |
| ნატალი კულინი (აშშ) | ცურვა |
| ინჯონ გუო (ჩინეთი) | წყალში ხტომა |
| იან ტორპი (ავსტრალია) | ცურვა |
| რაიან ბეილი (ავსტრალია) | ველორბოლა |
| კოსუკე კატაჯიმა (იაპონია) | ცურვა |
| ბირგიტ ფიშერი (გერმანია) | კანოე |
| მაიკ ნოლანი (გერმანია) | კანოე |
| კეტრინ ვაგნერი (გერმანია) | კანოე |
| კაროლინ ლეონარდტი (გერმანია) | კანოე |
| სუნ ჰუნ პარკი (ს. კორეა) | მშვილდოსნობა |
| კელი ჰოლმსი (დიდი ბრიტანეთი) | მძლეოსნობა |
| იანა კლოჩკოვა (უკრაინა) | ცურვა |
| ნატაშა იანიში (უნგრეთი) | კანოე |
| კატალინა პონირი (რუმინეთი) | ტანვარჯიში |
| ვერონიკა კემპბელი (იამაიკა) | მძლეოსნობა |
| ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) | მძლეოსნობა |
| ნიკოლას მასუ (ჩილე) | ჩოგბურთი |

# ათენში დამყარებული მსოფლიო რეკორდები

### ცურვა

**ქალები**

**100 მ. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| ჯუდი ჰენრი (ავსტრალია) | 53,52 წმ |

**ესტაფეტა. 4X100 მ. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| ავსტრალია | 3:35,94 წთ |

**ესტაფეტა. 4X100 მ. კომბინირებული**

| | |
|---|---|
| ავსტრალია | 3:57,32 წთ |

**კაცები**

**400 მ. კომპლექსური**

| | |
|---|---|
| მაიკლ ფელპსი (აშშ) | 4:08,26 წთ |

**ესტაფეტა. 4X100 მ. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 3:13,17 წთ |

**100 მ. გულაღმა**

| | |
|---|---|
| აარონ პირსოლი (აშშ) | 53,45 წმ |

**ესტაფეტა. 4X100 მ. კომბინირებული**

| | |
|---|---|
| აშშ | 3:30,68 წთ |

### ძალოსნობა

**ქალები**

**48 კგ**

| | |
|---|---|
| ნურქან ტაილანი (თურქეთი) | 97,5 კგ (ატაცი) |
| ნურქან ტაილანი (თურქეთი) | 210 კგ (ორჭიდი) |

**69 კგ**

| | |
|---|---|
| ლიუ ჩუნხონი (ჩინეთი) | 122,5 კგ (ატაცი) |
| ლიუ ჩუნხონი (ჩინეთი) | 153 კგ (აკვრა) |
| ლიუ ჩუნხონი (ჩინეთი) | 265, 5 კგ (ორჭიდი) |

**75 კგ**

| | |
|---|---|
| ტან გონხონი (ჩინეთი) | 182,5 კგ (ატაცი) |
| ტან გონხონი (ჩინეთი) | 305 კგ (ორჭიდი) |



REUTERS ათენიდან

ელენა ისინბაევამ წლეულს მერვედ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი

### ველორბოლა

**კაცები**

**4 კმ. გუნდური გამოდევნება**

| | |
|---|---|
| ავსტრალია | 3:56,610 წთ |

**ქალები**

**500 მ**

| | |
|---|---|
| ანა მეარესი (ავსტრალია) | 33,952 წმ |

**3 კმ. ინდივიდულური გამოდევნება**

| | |
|---|---|
| სარა ულმერი (ახალი ზელანდია) | 3:24,537 წთ |

### მძლეოსნობა

**ჭოკით ხტომა**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 4,91 მ |

### სროლა

**კაცები**

**პნევმატური შაშხანა. მოძრავი სამიზნე. 10 მ**

| | |
|---|---|
| მანფრედ კურცერი (გერმანია) | 682,4 ქ |

### აკადემიური ნიჩბოსნობა

**ქალები**

**რვანიჩბიანი**

| | |
|---|---|
| აშშ | 5:56,55 წთ |

**2 კმ. წყვილი**

| | |
|---|---|
| ნიუმარჩი — ჰოლიდეი (ავსტრალია) | 6:49,90 წთ |

**კაცები**

**რვანიჩბიანი**

| | |
|---|---|
| აშშ | 5:19,85 წთ |

### მშვილდოსნობა

**კაცები**

**ინდივიდუალური**

| | |
|---|---|
| დონ ხიუნ იმი (ს. კორეა) | 687 ქ |

**ქალები**

**ინდივიდუალური**

| | |
|---|---|
| სუნ ჰიუნ პარკი (ს. კორეა) | 682 ქ |

**გუნდური**

| | |
|---|---|
| სამხრეთ კორეა | 2030 ქ |

# დიდი ქართველობა დაიძრა

## საქართველომ ამერიკელი შემოიერთა

**გადაწყდა, შემონდ უილიამსი ქართველია! უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, ამერიკელ ზანგ ჯეელს ქართული პასპორტი ჩააბუტეს და ის უკვე საქართველოს ნაკრების წევრია. გუშინ ფიბა-ში ყველა ის საბუთი გაიგზავნა, რაც შემონდ უილიამსის საქართველოს ნაკრებში ჩასარიცხად იყო საჭირო და პასუხმაც არ დააყოვნა — ევროკალათბურთის მამებმა დასტური გამოაგზავნეს, უილიამსი თქვენი ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში შეგვიყვანეთ და რომელშიც გენებოთ, იმ მატჩში დაიხმარეთო. ვერაფერს იტყვი, ბრწყინვალე და დიდი სტიმულის მომცემი ცნობაა ზედ შეკრების წინ. საქართველოს ნაკრები ნელ-ნელა თბილისში გროვდება და 2 სექტემბრიდან სრულფასოვან შეკრებაზე გადავა საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოსამზადებლად**




ნაკრების მატჩები, იცოცხლეთ, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. თავად მეტოქენი არ არიან ისეთი სიძლიერისა, რამხელა მნიშვნელობაც მათ დამარცხებას აქვს. თავისუფლად შეიძლება, ამ საკვალიფიკაციო ტურნირს ვუწოდოთ ბეწვის ხიდი, რაკი ერთი ფეხის დაცდენა ყველაფრის დაკარგვას, ლამის კატასტროფას ნიშნავს. ღმერთმა არ ქნას და, თუ ხელი მოგვეცარა, უახლოესი დიდი ტურნირი, რომელში მონაწილეობის უფლებაც მოგვეცემა ყველა მომდევნო ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, 2009 წლის ევროჩემპიონატია.

ეს ბეწვის ხიდი ხომ ვიწრო და რთული სავალია, ამავდროულად გრძელიც გახლავთ. საქართველო ამ წლის 11 სექტემბერს იწყებს ბრძოლას იმისთვის, რომ 2007 წლის ევროპის ჩემპიონატზე გააღწიოს. მანამდე კი, 3 წელი, ქართველებმა უნდა იარონ დაუმარცხებლად — ჯერ საკვალიფიკაციოში აჯობონ სამ გუნდს, მერე სხვა ჯგუფში მათსავით ნაყოჩაღევ კიდევ ერთს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდნენ შესარჩევ ტურნირში, სადაც უკვე ნაღდ კალათბურთს თამაშობენ ევროპის ნაღდი გუნდები. ამ ტურნირში გამარჯვება კი უკვე ევრო-2007-ის საგზურს იძლევა.

ვფიქრობთ, რომ ამ აბზაცში კარგად გამოჩნდა კარსმომდგარი მატჩების მნიშვნელობის სიმძაფრე და უილიამსის ჩვენს ბანაკში ჩარიცხვაც უთუოდ გვარიანი სტიმული იქნება დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდისთვის.

მაგრამ მხოლოდ უილიამსის „გაქართველება" როდი გაახარებს ჩვენი გუნდის ქომაგებს. გვარიანი შესვენების შემდეგ პირველად ხდება, რომ ყველა ლეგიონერი თბილისში ჩამოვა. სხვა საქმეა, ითამაშებს თუ არა ყველა, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ 11 სექტემბერს თითოეული მათგანი თბილისში იქნება.

ზაზა ფაჩულია და ნიკოლოზ ცქიტიშვილი ამ ზაფხულსაც იყვნენ საქართველოში, ვლადიმერ სტეფანიას კი მე-7 წელია, თბილისური ჰაერი არ ჩაუსუნთქავს. ბოლო ინფორმაციით, სტეფანია საქართველოში მოდის, მის სახელზე ავიაბილეთიც დაჯავშნულია და თუ რამ დაუგეგმავი არ მოხდა, ვოვა 11 სექტემბერს სპორტის სასახლის ფიცარნაგზე შეებრძოლება ფინელებს.

ნიკა ცქიტიშვილი მეოთხე დღეა, თბილისშია და უკვე საჩხერის მოვლაც მოასწრო, ზაზა ფაჩულია კი დედაქალაქში ხვალ ჩამოფრინდება პრალაზე გამოვლით. პრალისვე გავლით ჩამოვა მისთვის ჯერაც არნახულ ახალ „სამშობლოში" შემონდ უილიამსი. საქართველოს ნაკრების შავკანიან გამთამაშებელს ბაბუა გარდაცვლია და დათქმულ დროს ვერ უერთდება ბრაიკოვიჩის გუნდს — იგი 4 სექტემბერს იქნება თბილისში.

ევროპაში მოთამაშე ქართველებიც ამ დღეებში ჩამოვლენ. ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი რამდენიმე დღეა, აქაა, მაგრამ ნაოპერაციევი ფილტვის გამო საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარება. სათუოა ასევე ვიქტორ სანიკიძისა და მანუჩარ მარკოიშვილის თამაშიც, მაგრამ, როგორც ისინი თავად იმედოვნებენ, თბილისშიც ჩამოვლენ და ფინელებსაც კუდით ქვას ასროლინებენ.

შეგახსენებთ, რომ ფინელებთან მატჩიდან ოთხ დღეში საქართველოს ნაკრებს მაკედონიაში, მომდევნო ორ დღეში კი ლუქსემბურგში ელიან. ამ სამი მატჩით ქართველები საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ წრეს მოილევენ და მომდევნო საპასუხო მატჩებს ერთი წლის შემდეგ გამართავენ.

**ირაკლი პერტაია**

# სამშობლოსთვის ტყუილის ალალია

## მარკოიშვილმა შემონდ უილიამსს არ აწყენინა

**ახლახან ლიუბლიანის „ოლიმპიაში" განათხოვრებული ბენეტონელი მანუჩარ მარკოიშვილი ოლიმპიურ ფერხულში სრული დატვირთვით ჩაება. სლოვენიის ჩემპიონ გუნდში „მანო" მისული არ იყო, ორკვირიან შეკრებაზე მოროვსკაია ტოპლიცეში უკრეს თავი. მომქანცველი შეკრებიდან მარკოიშვილი ლიუბლიანაში გუშინ დაბრუნდა და ჩვენც მას სლოვენიის დედაქალაქში დავუკავშირდით. იმაზე, რაც ყველაზე მეტად გვაინტერესებდა, ვერ მივიღეთ საბოლოო პასუხი: მარკოიშვილს იტალიაში ნატკენი ფეხი ამოუბრუნებია და სათუოა მისი თამაში ნაკრებში...**




— რას იტყვი ახალ გუნდზე და პირველ შეკრებაზე?

— ძალიან გადავიღალე, ორი კვირა ისეთ რეჟიმში ვიყავი, აქამდე რომ არ მინახავს. ჩანს, „ოლიმპია" კარგი, დისციპლინირებული და მშრომელი გუნდია.

— ალბათ უკვე ყველას გაიცნობდი...

— რა თქმა უნდა, ყველასთან ძალიან დავახლოვდი, ორი კვირა ერთ მუშტად, ერთი ოჯახივით ვიყავით შეკრულნი. ყველა ძალიან დადებითი პიროვნებაა, განსაკუთრებით ვლადიმერ ბოისა...

— ალბათ ყველაზე მეტ დროს ბოისასთან ერთად ატარებდი...

— ეს იყო ჩემი სურვილი, მაგრამ ვერ ვახერხებდი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სასტუმროში მწვრთნელმა ცალ-ცალკე ნომრებში გაგვანაწილა.

— ვარჯიშებზე?

— ვარჯიშებზე ვხვდებოდი ხოლმე ბოისას, მაგრამ ისეთ გაწამაწიაში ვიყავით, სიტყვის გაცემის არც თავი გვქონდა და არც სურვილი. დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით, დილა-საღამოს სამ-სამი საათი. მოკლედ, არაქათს გვაცლიდნენ, სასტუმროში მიბრუნებულს ერთი სული მქონდა, საწოლთან მივსულიყავი და დამეძინა.

— „ოლიმპიას" ახალი მწვრთნელი როგორ შეგხვდა, კმაყოფილია შენით?

— ივან ფილიპოვსკი საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელია და ურთიერთობებშიც არა უშავს. ეგაა, ვერაფერს დააცდევინებ. თვე გახდება, აქ ვარ და ჯერაც ვერ გამიგია, რას ფიქრობს ჩემზე. ამ კაცს ემოციას ვერ შეატყობ სახეზე, ეტყობა რომ ძალიან გაწონასწორებული და თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტია.

— პირობებით თუ ხარ კმაყოფილი?

— ურიგო პირობები არ მაქვს, მაგრამ არც მთლად დალხენილად ვარ. ჯერჯერობით სასტუმროში ვცხოვრობ, სწორედ დღეს მივდივარ ახალი ბინის სანახავად და თუ მომეწონა, გადავსახლდები.

— ყველაზე მეტად რით ხარ კმაყოფილი?

— რა თქმა უნდა, იმით, რომ ვლადიმერ ბოისას გვერდით ვარ. ჰო, კიდევ იმან გამახარა ძალიან, რომ ჩემი საყვარელი მე-11 ნომერი მერგო. რა ხანია, ამაზე ვოცნებობდი...

— რატომ? ხშირად გვინახიხარ 11-ნომრიანი მაისურით...

— ჭაბუკთა ნაკრებში მნახავდით, თორემ კლუბებში არასდროს ვყოფილვარ მე-11 ნომერი ბათუმის „ბასკოს" გარდა. სადაც მივდიოდი, ყველგან დაკავებული გვხვდებოდა ეს ნომერი. ეროვნულ ნაკრებშიც უარი მითხრეს, შემონდ უილიამსს უნდა მე-11 ნომერი და დაუთმეო. რას ვიზამდი...

— ნაკრები ვახსენეთ და თბილისში როდის მოდიხარ?

— მოვდივარ კი? ტოპლიცეში ფეხი ამოვიბრუნე და ორი დღე არ მივარჯიშია. ახლა ცოტა უკეთ ვარ, მაგრამ არ ვიცი, შევძლებ თუ არა თბილისში წამოსვლას.

— გამოდის, უმნიშვნელოვანეს მატჩებში ნაკრებს გამოაკლდები?

— არ ვიცი, შესაძლოა, ასეც იყოს. მე აქ ყველაფერს ვაკეთებ, სლოვენიელები დავარწმუნო, რომ ფეხი აღარ მაწუხებს. ცოტა კი მტკივა, მაგრამ მთელი მონდომებით ვვარჯიშობ, ოლიმპიელებმა რომ არ იეჭვონ ჩემი ფეხის ტკივილი. არადა, თუ ნახეს, რომ ჯანსალი არ ვარ, სრული უფლება აქვთ, არ გამომიშვან. წამოსვლის წინ თუ გამოკვლევა ჩამიტარეს, ალბათ არ გამომიშვებენ. თუმც იმის შანსიცაა, ორ დღეში კოჭის ტკივილმა სრულიად გამიაროს. ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად იყოს, თორემ ძალიან მეწყინება — ამ ოხერი ფეხის გამო ხომ ვერც იტალიაში ვითამაშე.

— ბოისა რას აპირებს?

— უთუოდ ჩამოდის, ბილეთი უკვე დაჯავშნულია. იმედი მაქვს მასთან ერთად მეც შევუერთდებ ნაკრებს.

**ირაკლი პერტაია**

US OPEN 2004

# ჩინელებო, დაისვენეთ
## ნაღდი ჩოგბურთი იწყება

### ვაჟების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

ფედერერი (1) — კოსტა
ბაგდატისი — მუტი
ტურსუნოვი — საბალეტა
ტ. მარტინი — სანტორო (31)
ლიუბიჩიჩი (24) — ლი
ა. მარტინი — დიუპუი
ანდრეევი — ვერდასკო
ნიემინენი — პაველი (16)
მასუ (10) — აკასუსო
სარგსიანი — კორეჩა
მათიო — სლუიტერი
ელ აინაუი — დენტი (21)
ნოაკი (25) — სტეპანეკი
ბოგდანოვიჩი — კალატრავა
მაიერი — სარეტა
ჯინეპრი — აგასი (6)
მოია (3) — ბეკერი
ტიპსარევიჩი — დელიჩი
სტარაჩე — პოპი
ო. როხუსი — ანჩიჩი (27)
ჰრბატი (22) — ერნანდესი
კუჩერა — მალისი
სუძუკი — გოლდშტეინი
ჰანესკუ — შრიჩაფანი (15)
გაუდიო (9) — მონაკო
ელსნერი — ტ. იოჰანსონი
რუზეცკი — სოლნიე
მაჰუ — კიფერი (19)
ფიში (26) — ფერერი
ტაბარა — მირნი
ლაბაძე — გოლმარი
კარლოვიჩი — ჰენმანი (5)
ნალბანდიანი (8) — ფან სხეპინგენი
მონტანესი — იუჟნი
მორისონი — კეტოლა
ბერდიხი — ბიორკმანი (32)
ჩელა (17) — მელო
ოდესნიკი — სანჩესი
ჰაასი — სანგვინეტი
პასიანსი — გროჟანი (12)
გონსალესი (14) — სოდერლინგი
დავიდენკო — ფილიპუსისი
ბეკი — ასიონე
პლესი — კუერტენი (20)
ლოპესი (30) — დი პასკუალი
კოლშრეიბერი — ბენეტო
არაზი — კარლსენი
ფერეირა — ჰიუიტი (4)
ფერერო (7) — ზიბი
კუბეკი — ბოგომოლოვი
რემი — გემბილი
ლუ — ი. იოჰანსონი (28)
სპედია (23) — ჰორნა
მელცერი — კარა
ლოდრა — ელსნერი
სეპი — შუტლერი (11)
საფინი (13) — ენკვისტი
პეია — რეინოლდსი
არტურსი — კლემანი
ულომჩოკი — რობრედო (18)
კანასი (29) — ვლიგენი
ჰიპენსტილი — ვოლანდრი
ჰიუბერგერი — ნადალი
ჯენკინსი — როდიკი (2)



„ფლეშინგ მედოუზის“ შარშანდელი პრინცი ენდი როდიკი

ათენურ მაგარსაფარზე ჩოგნის გამქნევნი და ასევე ისინიც, ათენში ოფლიანობას სხვაგან გარჯა რომ არჩია, წლის უკანასკნელი სლემტიტულისთვის საბულრაოდ ნიუიორკულ „ფლეშინგ მედოუზზე“ შეგროვდნენ. აქ ვითარება საოცრად დაძაბულია და შანსი არ არის, ათენის დარად კაცთა შორის ისევ ჩილელებმა რომ გაილაღონ, ხოლო ქალთა საწყვილოსნო ტურნირზე ისევ უსახელო ჩინურმა დუეტმა რომ იმარჯვოს. კაცთა მხარეზე მილეთი როდიკ-ფედერერის საფინალო შეხლის მოლოდინშია, თუმცა არც იმის გაუთვალისწინებლობა ეგების, რომ ტურნირის 2001 წლის ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი ყუმბარფორმაშია და ბოლო ორი კვირის მანძილზე ორი ისე-რა ტიტულიც მიითვალა. ქალთა შორის კი, სერენა და ვინუს უილიამსები სულ ჩოგანზე რომ გადახტნენ, თავის მორიგ სლემტიტულს ალბათ მაინც ამქრის ჭინკა პირველოსანი ჟუსტინ ენენ-არდენი მოირეწავს. რა, არ გჯერათ? მაშინ ჩავუჯდეთ და მთელ ამ ამბავს ერთად და რამე-რუმედ ვუყუროთ.



ჟუსტინ ენენ-არდენი ნიუ იორკში ოლიმპიური ჩემპიონის სტატუსით ჩავიდა

### ქალების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

ენენ-არდენი (1) — ვაიდიშოვა
ობზილერი — ვიჯაჯა
ჟიდკოვა — რეიმონდი
კირილენკო — ლიხოვცევა (25)
ფარინა ელია (19) — სპირსი
პანოვა — სრებოტნიკი
სტოსური — რაზანო
წენგი — პეტროვა (14)
კუზნეცოვა (9) — კარატანჩევა
კასტანო — პრატი
სეკუერა — ბრანდი
მაკკეინი — ფრეზერი (21)
პირსი (27) — ლუა
სტივენსონი — რუანო პასკუალი
იანკოვიჩი — ლაგოსტერა ვივესი
გრანვილი — შარაპოვა (7)
მისკინა (4) — ჩერვანოვა
შეტი — ჩაკვეტაძე
სტრიჩოვა — მედინა გარიგესი
ტალაია — დანილიდუ (29)
სმაშნოვა-პისტოლეზი (24) — ასაგოე
პისნიკი — კრეიბასი
რანდრიანტეფი — კირკლენდი
ნ. ლიუ — სუარესი (13)
ვ. უილიამსი (11) — მანდულა
ობატა — ობეროი
სერა ძანეტი — ვაშინგტონი
სანჩეს ლორენცო — რუბინი (20)
ბოვინა (26) — მარერო
კემერინი — ცინკი
პარა სანტონია — ვეინგარტნერი
კურჰაჩოვა — დევენპორტი (5)
კაპრიატი (8) — ჰლადკოვა
დრეიკი — სერნა
დუჩევინა — კაპროსი
ბარტოლი — შონეზი (32)
სპრემი (18) — კოსტანიჩი
გრანდე — ლინეცკაია
ტანასუგარნი — დულკო
ემლი — სუგიამა (12)
შნიდერი (15) — ვინჩი
ბენეშოვა — მატეკი
ჰანტუხოვა — პინი
კოენ-ალორო — მოლიკი (17)
გოლოვინი (30) — ვარნა
მორიგამი — გალიარდი
ლი-ვოტერსი — შაული
კლეინოვა — ს. უილიამსი (3)
დემენტიევა (6) — საფინა
ბელტრამი — სუხა
ჯეკსონი — ბლეკი
დოკიჩი — დეში (28)
სულუაგა (23) — კასანოვა
გარვინი — სანტანჯელო
კალენსი — გრუნფილდი
ნაგიოვა — ზვონარიოვა (10)
სკიავონე (16) — კუკალოვა
ტერი — ფორეცი
ჰეინისი — პერებინისი
პენეტა — მალეევა (22)
ვენტო-კაბჩი (31) — მარტინესი
ჰოპკინსი — შრუფი
ა. ლიუ — ვაკულენკო
ირვინი — მორესმო (2)

ავტორბოლა

# შუმახერი 7, ფერარი 700

## მიხაელი წაგებულიც მოგებულია

მართალია, კვირას მიხაელ შუმახერმა ბელგიური გრან-პრის მეშვიდედ მოგება ვერ შეძლო, მაგრამ „ფერარის" მეშვიდასე რბოლის მეორე ადგილზე დამთავრებამ მას კარიერის მეშვიდე ჩემპიონობა მაინც მოუტანა. „სპა-ფრანკორშამთან" შუმის გამორჩეული დამოკიდებულება აქვს — თავისი პირველი საფორმულაერთო რბოლა 1991 წელს მან სწორედ იქ გამართა და ერთი წლის მერე იქვე მოიგო კარიერის პირველი გრან-პრიც. სხვათა შორის, ფორმულა ერთის ისტორიაში ეს პირველად მოხდა, რომ ჩემპიონის ვინაობა სწორედ ბელგიური ეტაპის შემდეგ დადგინდა. რბოლის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე უკვე შვიდგზის ტრიუმფატორს არაერთ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა




— მიხაელ, რა დღე იყო! არადა, თავიდან აშკარად გიჭირდათ, რა მოხდა, საბურავებმა ხომ არ დაგალალატათ?

— ჰო, დღე მართლაც მოვლენებით დატვირთული გამოდგა. იმის გათვალისწინებით, თავიდან როგორ ჩავიფლავე, მერე კი მაინც როგორ გამიმართლა, ალბათ მხოლოდ ბედნიერებას უნდა ვგრძნობდე. თუმცა ეს თითოეული ჩვენგანისთვის იღბლიანი დღე იყო. სიმართლე გითხრათ, მინდოდა, საჩემპიონო რბოლა ასევე გამარჯვებით დამემთავრებინა, მაგრამ დღეს ჩვენ გადამწყვეტ მომენტებში ისეთი ძლიერები ვეღარ ვიყავით. ალბათ, ამის გამო არავინ დაგვძრახავს, რაკილა წლეულს ისედაც საკმაოდ ბევრი რბოლა მოვიგეთ და ბოლო-ბოლო, ვიღაც ხომ უნდა შეგვცილებოდა.

— საოცარია, მაგრამ „სპა" თქვენს კარიერაში ყოველთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობს ხოლმე.

— დიახ, მართალი ბრძანდებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს „ფერარის" მეშვიდასე გრანპრი იყო, მე კი მეშვიდედ გავხდი ჩემპიონი. ჩანს, შვიდიანი ჩვენთვის იღბლიანი რიცხვია.

— იყო შვიდგზის ჩემპიონი, ეს რამე განსაკუთრებულად ემოციური მომენტია?

— იცით რა, ჩემპიონობას ყოველთვის განსხვავებულად განვიცდი ხოლმე. ემოციებიც ყოველთვის განსხვავებულია და დღესაც რაღაც ისეთნაირად ვარ, რომ სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. ერთი იმის თქმა შემიძლია, რომ, როცა მეხუთედ ან მეექვსედ გავჩემპიონდი, სრულიად სხვა ემოციები მქონდა. ახლა „სპა"-ზე ვართ, აქაურობა კი — ეს ადგილი, ეს ტრასა — ჩემთვის ყველაფრისგან გამორჩეულია. მით უმეტეს მაშინ, როცა „ფერარის" მეშვიდასე რბოლაში მეშვიდედ ხდები ჩემპიონი... სხვა რა გითხრათ, ძალიან მეამაყება, რომ გუნდთან ერთად დღეს ასეთ წარმატებას მივაღწიე. ჩვენმა გუნდმა დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მართლაც შეუდარებელია. რუბენსის მანქანასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრას ვგულისხმობ — ვინ იფიქრებდა, რომ ფრთადაზიანებული ბოლიდი ასე მალე, წრისდაუკარგველად შეძლებდა ტრასაზე დაბრუნებას...

— მიხაელ, ამ გამარჯვებას ვინმეს პერსონალურად ხომ არ მიუძღვნიდით?

— არა მგონია, ეს აუცილებელი იყოს. ამ წარმატებისთვის ხომ ძალიან ბევრი ადამიანი გაირჯა, ასე რომ კონკრეტულად ვინმეს გამორჩევა სწორი არ იქნებოდა. ერთადერთი იმას გეტყვით, რომ ჩვენს პრეზიდენტს ლუკა დი მონტეძემოლოს სამშაბათს დაბადების დღე აქვს და ვინძლო ამ გამარჯვებაშიც ლომის წვლილი სწორედ მას ედოს. თუმცა ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს გამარჯვებას მას ვუძღვნიდე, უბრალოდ, ყველას თავის წილი პატივი უნდა მიეგოს.

— დღეს ჩვენ საუცხოო რბოლა ვიხილეთ, თუმცა ბოლო ორი კვირის განმავლობაში არანაკლებ საუცხოო ამბები ხდებოდა ათენის ოლიმპიადაზეც. თქვენ თანამემამულეთაგან იქ ვინმეს განსაკუთრებულად ხომ არ ქომაგობდით?

— ალბათ ჩვენ ჰოკეისტ გოგონებს, რომელთაც მართლაც არაჩვეულებრივი გამარჯვება მოიპოვეს. ჩინებულად გაირჯნენ ჩვენი ხელბურთელი ვაჟებიც და საერთოდაც — ათენში სხვაც ბევრი რამ იყო ისეთი, რაც განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს. ყველაზე მეტად მაინც ის მომეწონა, რომ ბევრი პატარა ქვეყანა, რომლებსაც სპორტულ სამყაროში ფავორიტებად არავინ მიიჩნევს, ათენში შესანიშნავად გამოვიდნენ... ჩვენთან ყველა აკრიტიკებს კაცთა საფეხბურთო ნაკრებს, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ თამაში უკვე სხვებმაც ისწავლა და დონეც საოცრად გათანაბრდა.

— მიხაელ, თქვენ იცოდით, რომ ეს მომენტი ადრე თუ გვიან დადგებოდა. რას გრძნობთ ახლა?

— უკვე გითხარით, რომ ყოველ ჩემპიონობას სხვადასხვაგვარი გრძნობები მოსდევს. ახლა უბრალოდ ძალიან ბედნიერი ვარ და ვცდილობ, ამაზე მაინცდამაინც ბევრი არ ვილაპარაკო. მინდა, ამ მომენტით ბოლომდე დავტკბე — ეგ არის და ეგ!

ჰოკეი

**მსოფლიოს თასი 2004** 30 აგვისტო — 14 სექტემბერი

# ნახეთ ჰოკეი უკანასკნელად

მსოფლიოს თასს დიდი ხანია, მოუთმენლად ელოდა ჰოკეის საზოგადოება. ეს მოლოდინი გასაგებიცაა, ტურნირი, რომელიც 3-5 წლიანი ინტერვალით ტარდებოდა, რვა წელია, არ გამართულა. მართალია, ამასობაში ნჰლ-ის ვარსკვლავებმა ორ ოლიმპიადაზე გაიბრწყინეს, მაგრამ მსოფლიოს თასს მაინც სხვა ეშხი აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტურნირი სეზონის დასაწყისში ტარდება, როცა დასვენებული მოთამაშეები ფორმაში შედიან. ოლიმპიური ტურნირის წინ ხომ წამყვან გუნდებს მომზადების საშუალება არა აქვთ, ვინაიდან ნჰლ-ის გაგანია ჩემპიონატიდან პირდაპირ ოლიმპიადაზე ხვდებიან. მსოფლიოს თასს კი ხანგრძლივი შეკრება და საგამოფენო მატჩები უძღვის წინ და თამაშის დონეც შეუდარებლად მაღალია

თუმც ამ დიდი ტურნირის მოლოდინს უარყოფითი ემოციებიც ახლავს. კერძოდ ის, რომ სავსებით შესაძლებელია, ეს ბოლო შეჯიბრება გამოდგეს ყველა უძლიერესი მოთამაშის მონაწილეობით. ნჰლ-ის ბოსების და მოთამაშეთა ასოციაციას შორის კრიზისი სულ უფრო და უფრო ღრმავდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლებელია, მომავალში ლიგამ უარი თქვას ოლიმპიადებში მონაწილეობაზე. საერთაშორისო ფედერაციის (იიჰფ) პრეზიდენტმა რენე ფაზელმა უკვე განაცხადა, რომ თუ მხარეები 2005 წლის 1 იანვრამდე ვერ მორიგდებიან, ტურინის 2006 წლის ოლიმპიური თამაშები ნჰლ-ელების გარეშე გაიმართება. ასეთ ჩახლართულ ვითარებაში, ცხადია, არც მოთამაშეებს ექნებათ 2006 წელს ტურინში ჩასვლის სურვილი. მომდევნო მსოფლიოს თასსაც ვინ იცის, როდის მოებმება თავი. ასე რომ, მსოფლიოს თასი ეჭვიანი სიხარულით იწყება. თან იმ დროს, როცა წლეულს ნჰლ-ის სეზონსაც ჩაშლა ემუქრება.

მაგრამ ჯერ მაინც მსოფლიოს თასი დავაგემოვნოთ. აშშ-ს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის დუგ უეიტის თქმისა არ იყოს, ეგებ ამ დიდი ჰოკეის ხილვამ მაინც მოიყვანოს მხარეები გონს და საერთო ენა გამონახონ.

სპეციალისტთა აზრით, მსოფლიოს თასზე ყველაზე დიდი შანსები კანადის და აშშ-ს გუნდებს აქვთ. ერთ-ერთი საიტის მონაცემებით ქომაგთა 59 პროცენტი კანადაზე ჩადის ფსონს, 25 აშშ-ზე, ხოლო სხვა გუნდებზე 5-6 პროცენტი მოდის. ეს კანადისა და აშშ-ს გუნდების მძლავრი შემადგენლობებით არის განპირობებული და კიდევ იმით, რომ ტურნირის გადამწყვეტი მატჩები ჩრდილოეთ ამერიკაში გაიმართება. ისე, ბოლო საკონტროლო შეხვედრებში ორივე გუნდი სერიოზულად დაზარალდა, თან დაცვით ხაზში. მაგალითად, კანადელებს ბლეიკი და კრის პრონგერი გამოაკლდათ, ამერიკელებს კი ერთბაშად 3 უკანახაზელის გამოცვლა დასჭირდათ. ბოლო მომენტში სლოვაკებსაც ჰქონდათ ლიდერების დანაკლისი, მათ შორისაა პეტერ ბონდრა და ზიგმუნდ პალფი.

ჩეხეთი, ფინეთი და შვედეთი ტურნირს ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან. კიდევ ერთ მონაწილეს გერმანიას ფავორიტად არავინ მიიჩნევს, ხოლო რუსები ტრადიციულად შინაგანმა კონფლიქტებმა და განხეთქილებებმა დაასუსტა. ოთხი გაფიცული მოთამაშისგან გუნდის მამებმა ერთი, მეკარე ევგენი ნაბოკოვი შემორიგეს, თუმც „სან ხოსეს" მეკარეს ტრავმა უშლის ხელს და კარში მთავარ იმედად ომსკის „ავანგარდში" მოთამაშე მაქსიმ სოკოლოვი დარჩა.

ბოლოს კი განრიგზე: 8 გუნდი 2 ჯგუფადაა გაყოფილი. ევროპულ ჯგუფში (თამაშები ევროპაში გაიმართება) ჩეხეთი, შვედეთი, ფინეთი და გერმანია ითამაშებენ, ხოლო ამერიკულში — კანადა, აშშ, სლოვაკეთი და რუსეთი. წინასწარი ეტაპი 30 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე გასტანს. 6-8 სექტემბერს მეოთხედფინალებია, თანაც ევროპული ჯგუფი ცალკე ჩაატარებს თამაშებს, ამერიკული — ცალკე.

10 და 11 სექტემბერი ნახევარფინალების დროა, ხოლო 14 სექტემბერს ფინალი ტორონტოში გაიმართება.

**სამველ ლარიბიანი**



ნჰლ-ს გადამკიდე ხალხს წელს მსოფლის თასით მოუწევს დაკმაყოფილება

# თქვენ თავისუფალი ხართ, სერ რობსონი ველარ იკაჭკაჭებს



ბოლო დღეების ლაპარაკები ტყუილი არ გამოდგა — „ნიუკასლმა“ ხუთი წლის თავზე მენეჯერობიდან გადააყენა 71 წლის სერ ბობი რობსონი. მიზეზი სეზონის ცუდი სტარტია: 2 ქულა 4 თამაშიდან.

კლუბს ჯერ არ გამოუცხადებია სერ ბობის შემცვლელის ვინაობა.

რობსონის ხელში „ნიუკასლს“ არანაირი ტიტული არ მოუპოვებია, თუმცა კარგ ფეხბურთს თამაშობდა და ლიდერთა მარად მდევრად ითვლებოდა.

1999 წელს, როცა სერ ბობიმ რუუდ გულიტი შეცვალა, გუნდი უვარგისი იყო, მის ხელში კი ერთხელ მესამე ადგილიც დაიჭირა, ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპსაც უწია და უეფას და ასოციაციის თასების ნახევარფინალებსაც.

რობსონი ისედაც ბოლო სეზონს ატარებდა „ნიუკასლში“, სათამაშო წლის ბოლოს უნდა წასულიყო.

კლუბის მიმართვა იწყება სერ ბობისადმი მადლობით, თუმცა, მისი გადაყენების აუცილებლობა კლუბის ინტერესებითაა ნავარაუდევი.

„ნიუკასლურ“ სამზარეულოში გვარიანი არეულობა ყოფილა: სერ ბობის ვერ მოუთოკავს კირონ დაიერი, რომელსაც სხვა პოზიციაზე თამაში არ უკადრია და სახალხოდ დაუწყია ლაპარაკი. ბოლო ხანს აფეთქებულა კრეიგ ბელამიც, უეინ რუნის ყიდვას რომ აპირებთ, გამარკვიეთ, მე რას მიპირებთ, ჩვენ ხომ ერთ ამპლუაში ვთამაშობთო.

გუნდში რომ საქმე კარგად ვერ იყო, ბოლო ტურშიაც გამოჩნდა: რობსონმა სკამზე დატოვა გუნდის თილისმა ალან შირერი.

სხვათა შორის, შირერი მენეჯერობის ერთ-ერთი კანდიდატია. ბოლო წლებია, ალანი უეფას მწვრთნელთა სკოლაში დაიარება. თუმცა, ლაპარაკია ჟერარ ულიეზეც, სტივ ბრიუსზეც და მარტინ ონილზეც, თუმცა, ამ ორს თავისი საქმეც ბევრი აქვს.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

**მანჩესტერი 0:0 ევერტონი**

**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გ. ნევილი, სილვესტრი, ოში, სპექტორი, ფლეტჩერი (გიგზი 64), სქოულზი, კლებერსონი (ჯემბა-ჯემბა 64), კ. რონალდო (ბელიონი 81), სმიტი, საა

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**ევერტონი:** მარტინი, ჰიბერტი, ვეირი, სტაბსი, პისტონე, ოსმანი, უოტსონი, კარსლი, კილბეინი, ჩეჰილი (ნეისმიტი 70), ბენტი (დ. ფერგიუსონი 54)

**მწვრთნელი:** დევიდ მოიესი

**გაფრთხილება:** ოსმანი, ჩეჰილი

**მსაჯი:** გალაჰერი

**67 803 მაყურებელი**




კრისტიანო რონალდო დრიბლინგით კი გამოირჩა, მაგრამ „ევერტონმა“ ქულა მაინც წაიღო

# რუნისწინა თამაში

წინასარუნო ვითარებაში მყოფი „მანჩესტერი“ და „ევერტონი“ ორშაბათ შუადღეს შეხვდნენ ერთმანეთს „ოლდ ტრეფორდზე“ გამოტოვებულ მატჩში და უგოლოდ გაშორდნენ. მსაჯმა ერთი პენალტი არ დანიშნა, როცა მიკაელ სილვესტრმა ხელით თავიდან ააცალა ბურთი დანკან ფერგიუსონს და ამით „ევერტონი“ დაიჩაგრა კიდეც. თუმცა, თავის მხრივ, რონალდომ და ალან სმიტმა ორივე ძელს მოუსინჯეს სიმაგრე.

„მანჩესტერი“, ცხადია, შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა. „ევერტონს“ ჰყავდა ახალი ალმოჩენა ლეონ ოსმანი, უეინ რუნი კი რასაკვირველია, არ იყო, ტრავმის გამო, თუმცა რუნი ამ თამაშის ყველაზე პიკანტური ვინმე იყო, რადგან სწორედ მატჩის შემდეგ ორივე გუნდის უფროსობა უნდა დამჯდარიყო და ბიჭის ბედი გადაეწყვიტა.

უქმეებზე „ევერტონის“ ქომაგებმა უკვე წააწერეს „გუდისონ პარკის“ კედლებს, რუნი ორპირი და გამყიდველიაო, მოსუსტებული „მანჩესტერი“ სწორედ რუნით აპირებს გაძლიერებას.

ამ უგოლო მატჩის შემდეგ „მანჩესტერს“ მხოლოდ ოთხი ქულა აქვს და ლიდერებისგან ათი დღის სავალზეა. „ევერტონმა“ კი უკვე შვიდი მოაგროვა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 4 | 0 | 0 | 16:5 | 12 |
| ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 6:1 | 12 |
| ბოლტონი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ტოტენჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| მიდლსბრო | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 7 |
| ასტონ ვილა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| ჩარლტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | 6 |
| მანჩესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| სიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლივერპული | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბირმინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| ნიუკასლი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |
| ნორვიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:9 | 2 |
| ბლექბერნი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| პორტსმუთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კრ. პალასი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

## ფეხბურთის რუკასთან

**ეკვადორის** ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა, ვეტერანმა ალექს აგინაგამ სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 36 წლის ნახევარმცველს ამ ნაბიჯის გადადგმისკენ ეკვადორელთა თავკაცმა ლუის სუარესმა უბიძგა, როცა იგი არგენტინასთან მომავალი მატჩისთვის არ გამოიძახა. „ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრისა და ორჭოფობის შემდეგ მივიღე. ნაკრებიდან წავედი, მაგრამ „ლიგა დე პიტოში“ თამაშს ჩვეულებრივ გავაგრძელებ“ — თქვა აგინაგამ, რომელიც 16 წლიდან თამაშობდა ეკვადორში და 100-ზე მეტჯერ დაუცავს ეროვნული ნაკრების ღირსება.

**ფრანგულმა** „ლიონმა“ ბრაზილიური „ინტერნაციონალიდან“ სამხრეთ ამერიკაში ცნობილი მცველი ნილმარი შეიძინა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ თითქოს გადაწყვეტილი იყო ნილმარის მოსკოვის ცეესკაში გადასვლა, მაგრამ ტრანსფერი მოულოდნელად ბოლო მომენტში ჩაიშალა. „ლიონმა“ უკვე გააფორმა ნილმართან კონტრაქტი, რომლის პირობებიც ჯერჯერობით არ ხმაურდება.

**გერმანულმა** „ჰანზამ“ ფეხბურთიდან წასული მარტინ მაქსის შემცვლელი იპოვა. როსტოკელებმა შვედეთის ნაკრების ფორვარდი მარკუს ოლბაკი გადაიბირეს. სკანდინაველმა ბოლო წლები ინგლისურ „ასტონ ვილაში“ გაატარა, მაგრამ ბირმინგემელთა წამყვან ფორვარდად ვერ იქცა. მხარეებმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

**ფრანგი** სილვენ ვილტორდი ისევ თავისუფალი აგენტია და „მილანთან“ მოლაპარაკებას აწარმოებს. „არსენალიდან“ წასვლის შემდეგ ვილტორდი ფორმის შესანარჩუნებლად „რენში“ ვარჯიშობს. ცოტა ხნის წინ იგი კონტრაქტის პირობებზე ინგლისურ „ვესტ ბრომვიჩს“ ვერ შეუთანხმდა, ხოლო „ბოლტონს“ „შავ-წითლებში“ გადასვლის იმედით თავიდანვე უარი უთხრა. თუ მხარეები ხელფასზე შეთანხმდნენ, მილანური კლუბი მზად არის, ვილტორდი დაიმატოს.

**ჩეხეთის** ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის“ ნახევარმცველმა ტომაშ გალაშეკმა ვარჯიშზე მუხლი დაიშავა. ექიმების თქმით, ტრავმა არც ისე სერიოზულია, მაგრამ ფეხბურთელს ორი კვირა დასვენება მაინც მოუწევს. შესაძლოა, მან ჩემპიონთა ლიგაში „აიაქსისა“ და „იუვენტუსის“ მატჩი გამოტოვოს, ხოლო ეროვნულ ნაკრებს ჰოლანდიელთა წინააღმდეგ ნამდვილად ვერ დაეხმარება.

**იტალიური** „უდინეზეს“ ნახევარმცველ მარტინ იორგენსენის კონტრაქტის ნახევარი ფლორენციის „ფიორენტინამ“ შეიძინა. შესაბამისად, დანიელი მომავალ სეზონს „არტემიო ფრანკიზე“ გაატარებს. შეგახსენებთ, რომ აქამდე „იებმა“ ჰიდეტოში ნაკატა, ენცო მარესკა, ტომაშ უიფალუში, ჯორჯო კიელინი და ხავიერ პორტილიო დაიმატეს. თუმცა მათი უმეტესობა, იორგენსენის მსგავსად, მხოლოდ სანახევროდ გახდა „ფიორენტინას“ მოთამაშე.

**ჩეხი** ნახევარმცველის მარეკ იანკულოვსკის გადაბირება ტურინის „იუვენტუსს“ კარგა ხანია უნდა, მაგრამ „უდინეზესთან“ სატრანსფერო თანხაზე ვერ თანხმდება. ცოტა ხნის წინ კი საქმეში მოსკოვის ცეესკა ჩაერთო. არმიელებს ფული ბლომად აქვთ, მაგრამ ჩეხმა ფეხბურთელმა მათ საბოლოოდ გადაუწურა იმედი. „ცეესკას უარს ვეუბნები, რადგან ჩემი ოჯახი აქ ბედნიერია და იტალიიდან წასვლა არ მინდა, ჩემი ოცნება „იუვენტუსში“ ანაც „ინტერში“ გადასვლაა და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს მოხერხდება. თუმც, თუ „უდინეზეში“ დავრჩი, კვლავ ძველებურად ვითამაშებ და ბოლომდე დავიხარჯები“ — თქვა იანკულოვსკიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუდის რომში ელიან

## პრანდელის უყვარს, ფიოლერი უყვართ





გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, თანამდებობიდან ევრო 2004-ის შემდეგ გადამდგარი რუდი ფიოლერი არ მალავს, რომ იტალიურ „რომასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას. მოგეხსენებათ, „რომას“ თავკაცმა ჩეზარე პრანდელიმ მოულოდნელად გამოაცხადა გუნდიდან წასვლის შესახებ. პრანდელი „რომაში“ ამ ზაფხულს მივიდა, მაგრამ მოსამზადებელ პერიოდშივე დატოვა კლუბი

„დრო მჭირდება — უთხრა ფიოლერმა „ილ მასაჯეროს“ — და ძალიან ვწუხვარ, რომ პრანდელი ასე მალე წავიდა გუნდიდან. იმით სარგებლობა, რომ ადამიანს უჭირს და მისი ადგილის დაკავება, აზრად არასდროს მომივა“.

საქმე ის გახლავთ, რომ პრანდელის გადადგომის მიზეზი მეუღლის ავადმყოფობაა.

რაც შეეხება ფიოლერს, მიმომხილველების აზრით, მისი კანდიდატურა ძალიან მახვილგონივრულად არის მოფიქრებული, ვინაიდან იგი ფეხბურთელობის წლებში გამოდიოდა „სტადიო ოლიმპიკოზე“ და ქომაგების კერპიც იყო. როგორც მწვრთნელმა, მან 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრები მეორე ადგილზე გაიყვანა, რასაც სიმართლე რომ ვთქვათ, არავინ ელოდა და ამდენად უთუო წარმატება გახლდათ. თუმცა ფიოლერი ეტყობა ჯერ ვერ გარკვეულა თავის სურვილებში.

„ჯერ ისიც კი არ გადამიწყვეტია, მწვრთნელად მუშაობა მინდა თუ არა“ — დასძინა მან.

ამბობენ, რომ ფიოლერი „რომასთვის“ გაცილებით სასურველი ფიგურაა, ვიდრე დანარჩენი ორი კანდიდატი, ლუიჯი დელ ნერი და სერსე კოზმი. მიზეზი: დელ ნერის საყვარელი განლაგება 4-4-2-ია, რაც „რომას“ ვარსკვლავებს, უპირველეს ყოვლისა კი ფრანჩესკო ტოტის არ აძლევს ხელს, ხოლო კოზმი ამ ყალიბის გუნდისთვის საკმარისად გამოცდილად არ მიაჩნიათ. ფიოლერის უპირატესობა კი ძირითადად ფსიქოლოგიური ხასიათისაა, იგი რომში უყვართ და გერმანიის ნაკრების მაგალითით თუ ვიმსჯელებთ — იგი ფეხბურთელებს უყვართ. გარდა ამისა, ფიოლერი ერთწლიან კონტრაქტს დაყაბულდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩეზარე პრანდელისთვის მთელი წელიწადის გამოყოფა იქნება შესაძლებელი.

გაზეთ „კორიერე დელა სერაში“ ჩეზარე პრანდელის მეუღლის, 42 წლის მანუელას სიტყვებია მოტანილი: „ჩეზარემ სიყვარული უდიდესი ნაბიჯით დამიმტკიცა, უძნელეს პერიოდში ჩემს გვერდით ყოფნა არჩია და ამისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის“.

დღეს „რომა“ ირანის ნაკრებთან გამართავს ამხანაგურ შეხვედრას და ამ შეხვედრაში გუნდს ენცო სელა და გაბრიელე პინი უხელმძღვანელებენ.

**ბაკუნა ძიდია**

„იუვენტუსი“ „ინტერისგან“ ფაბიო კანავაროს ყიდულობს! ტურინელთა გენერალურმა დირექტორმა, ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, რომ კლუბებს შორის შეთანხმება მიღწეულია და საქმე მხოლოდ ფეხბურთელის ხელფასზეღაა. როგორც კი ეს ამბავიც მოგვარდება, გამოცდილი მცველი შავ-თეთრ ზოლიან ფორმას ჩაიცვამს

# ფაბიო ისევ ლილიანთან იქნება

## კანავარო კაპელოსთან მიდის



ფაბიო კანავარო

შეგახსენებთ, რომ „სკუადრა აძურას“ კაპიტანი „იუვენტუსში“ გადასვლასთან 2002 წელსაც ახლოს იყო, მაგრამ მაშინ „პარმადან“ „ინტერში“ ამოჰყო თავი. მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ „ინტერში“ კანავაროს მაინცდამაინც არ გაუმართლა, რისი დასტურიც ასეთი სტატისტიკაა: ორი სეზონის განმავლობაში მან შავ-ლურჯი ფორმით მხოლოდ 50 შეხვედრა ჩაატარა.

ფაბიო კანავარო 31 წლისაა. „ინტერში“ მისი ხელფასი წელიწადში 3,6 მილიონი ევროს ტოლფასი გახლდათ. საგულისხმოა, რომ კანავაროს „იუვენტუსში“ გადასვლით აღდგება მისი და ფრანგი ლილიან ტურამის წყვილი, რომელიც „პარმაში“ შეუვალად ითვლებოდა, რასაც „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელი, ფაბიო კაპელოც უსვამს ხაზს:

„პარმაში“ კანავაროსა და ტურამს ძალიან ძლიერი წყვილი ჰქონდათ ჩამოყალიბებული. მათ ერთად რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება აქვთ მოგებული და ვიმედოვნებ, რომ თანამშრომლობა არ დაავიწყებიათ“.

**ბაკუნა ძიდია**

# პავონის სგაქირება

## დაივიწყეთ უფულო ლაციო



„ლაციო“ „რეალიდან“ ფრანსისკო პავონის გადაყვანასთან არის ახლოს. ლაპარაკია ფეხბურთელის ქირით შეძენაზე. აშკარაა, რომ რომაელები ფინანსური გაჭირვების შემდეგ ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას ცდილობენ.

შეგახსენებთ: „ლაციომ“ უკვე შეიძინა ბარსელონელი მცველი ოსკარ ლოპესი და ცდილობდა ასევე ქირით რაფაელ მარკესი გადაებირებინა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს გარიგება კატალონიელებმა ჩაშალეს.

და აი, რომაელთა ახალი პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო ისევ ესპანეთში, ამჯერად მადრიდში აგვარებს სატრანსფერო საქმეებს. „რეალისთვისაც“ არ არის ძნელი 24 წლის პავონის გაქირავება, რადგან თვითონ ამ ფეხბურთელს ხეირიანად ვერ იყენებს, ასე კი საშუალება ექნება საკმაოდ ძნელ ჩემპიონატში გამოაწრთოს და ისე დაიბრუნოს. პავონს „რეალის“ შემადგენლობაში მოხვედრის შანსი ვალტერ სამუელის ყიდვის შემდეგ ერთიორად შემცირდა.

კიდევ, ამბობენ, რომ „პარმა“ „ლაციოს“ სებასტიანო სივილიას მიქირავებასა და ხელფასის სანახევროდ გადახდაზე დაყაბულდა. გარდა ამისა, „ლაციოს“ „ბაზელიდან“ 27 წლის ჰაკან იაკინის ყიდვაც მონდომებია.

„ხუთი ახალი ბიჭი მჭირდება — თქვა რომაელთა ახალმა მწვრთნელმა მიმო კაზომ — საბოლოოდ მინდა 22 მოთამაშეს გამორჩეული ახალგაზრდები შემოვიკრიბო. ბოლო წლების ფინანსურად გაჭირვებული „ლაციო“ უნდა დავივიწყოთ და გამარჯვებებზე ვიფიქროთ. ყოველი ქულა საომარი გვექნება“.

**ბაკუნა ძიდია**



სეზარი სავარაუდოდ „ინტერში“ გადავა

# ინტერი რომაელებს ფულს და კაცებს სთავაზობს

მილანის „ინტერი“ რომის „ლაციოს“ ნახევარმცველ აპარესიდო სეზარის გადაბირებას ცდილობს. მილანელებმა ამ ზაფხულს რამდენჯერმე მიაკითხეს „ლაციოს“, მაგრამ ისინი უარით გაისტუმრეს. რომაულ გუნდს ფინანსურად უჭირს და რამდენიმე ფეხბურთელი უკვე გაყიდა, ამიტომ სავარაუდოდ სეზარსაც შეელევა. იტალიური მედიის ცნობით, კლუბები სიტყვიერად უკვე შეთანხმდნენ და ლაციოელი ნახევარმცველიც „ინტერში“ გადასვლაზე ყაბულსაა. „ინტერი“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 2 მილიონი ევროს გადახდას აპირებს. გარდა ამისა, დედაქალაქელებს გიორგიოს კარაგუნისს და ფრანჩესკო კოკოს სთავაზობს. გარიგება ამგვარად თუ არ შედგა, მაშინ „შავ-ლურჯებს“ 6 მილიონ 500 ათასი ევროს გადახდა მოუწევთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლიპი კილომეტრიდან
## პანუჩი ნაკრებს არ მისტირის

მარჩელო ლიპიმ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ორი თამაშისთვის ფეხბურთელები შეარჩია და მათი სია გამოაქვეყნა. ამ სიაში მოხვდნენ ახლახან ოლიმპიადაზე ნამყოფი დანიელე დე როსი და ალბერტო ჯილარდინო.





„რომას“ ნახევარმცველის, დე როსისა და პარმელი ჯილარდინოს „სკუადრა აძურაში“ მიწვევა მას მერე გახდა აქტუალური თემა, რაც მათ ჯერ 21-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს, ხოლო შემდეგ ათენში ოლიმპიური ბრინჯაო მიითვალეს.

ლიპიმ გამოიძახა ისლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში გამორჩეული პალერმოელი ლუკა ტონიც. მოგეხსენებათ, რამხელა მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი ალესანდრო დელ პიეროს დროებით ნაკრებს გარეშე დატოვების გამო. ახლა, ყველაფერი თავის ადგილასაა, მწვრთნელმა დელ პიერო გამოიძახა. სამაგიეროდ, ტრავმები კვლავ უშლიან ხელს კრისტიან ვიერისა და ანტონიო კასანოს.

საინტერესოა, რომ ლიპიმ გამოიძახა ფრანჩესკო ტოტიც, რომელსაც, მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატზე შესარჩევ ტურზე დისკვალიფიკაციის გამო ერთი შეხვედრა ჯერ კიდევ გამოსატოვებელი აქვს. ასე რომ, 4 სექტემბერს ნორვეგიასთან ვერ ითამაშებს, სამაგიეროდ, რვაში, პალერმოს „სტადიო ბარბერაზე“ მოლდოველებს შეუტევს.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც შეიძლება ყურადღება მივაქციოთ: ლიპიმ არ მიიწვია „რომას“ გამოცდილი მარჯვენა მცველი კრისტიან პანუჩი, რომელიც ამასთან დაკავშირებით ასე ამბობს:

„ერთი კილომეტრიდან ჩანს, რომ ამის მიზეზი პირადი ურთიერთობაა. ახლა ერთადერთი ის მინდა, რომ ლიპის პატიოსნება ეყოს და ეს აღიაროს. მეორე მხრივ, ნაკრებში უკვე 50 შეხვედრა მაქვს ჩატარებული და ამის გამო ღამეს ნამდვილად არ გავტეხავ“.

**პაპუნა ძიდია**

# სავიოლა მონაკოს ათხოვეს



**არგენტინელი** ხავიერ სავიოლა ერთი სეზონით ფრანგულ „მონაკოში“ იჯარით ითამაშებს. ფრანკ რაიკარდის საამსეზონო პროექტში სავიოლას ადგილი არ აღმოჩნდა და გუნდის თავკაცობამაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. „ბარსას“ აწ უკვე ყოფილი თავდამსხმელი ათენის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მონადირების შემდეგ მონტე კარლოში გუშინ გაემგზავრა, ესპანელ ჟურნალისტებს კი ეს უთხრა: „ბარსელონასთან“ ჩემი კარიერის საუკეთესო წლები მაკავშირებს. ვიმედოვნებ, ურიგოდ არც „მონაკოში“ ვითამაშებ“. ბაჭია მეთოთხმეტე ფეხბურთელი შეიქნა, ვინც „ბარსამ“ საამსეზონოდ გაანათხოვრა.

**ლადო ხომერიკი**

# სტარკოვსი სპარტაკს სკალას შეუცვლის

**ლატვიის** ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრს სტარკოვსი მოსკოვის „სპარტაკის“ იტალიელი თავკაცის, ნევიო სკალას ადგილს დაიკავებს. სავარაუდოდ, უახლოეს ათ დღეში ლატვიელი მოსკოვურ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს. „საბოლოო გადაწყვეტილებას კვირის ბოლომდე მივიღებ, ჯერჯერობით კი მეტს ვერაფერს ვიტყვი, რადგან „სპარტაკს“ ამჟამად მწვრთნელი ჰყავს“ — თქვა მან.

ალექსანდრს სტარკოვსს რუსეთში ორი წლის წინ სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მაშინ იუარა და არც შემცდარა. მის ხელქვეით ლატვიის ნაკრებმა სასწაული მოახდინა — ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა და პორტუგალიაში ღირსეულად ითამაშა. სტარკოვსმა „სპარტაკი“ თუ ჩაიბარა, ეროვნულ გუნდში წლის ბოლომდე მაინც დარჩება.

შეგახსენებთ, რომ სეზონის განმავლობაში ორი მოსკოვური გუნდის უცხოელი მწვრთნელი გაათავისუფლეს. მოსკოვის „დინამოდან“ ჩეხი იაროსლავ გჟებიკი, ხოლო ცსკა-დან პორტუგალიელი არტურ ჟორჟე. ახლა ალბათ ნევიო სკალას ჯერი დადგა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ალექსანდრს სტარკოვსი

# გაგიჟდება დევიდი!
## რეალმა ბექემი ააგდო და დააგდო

აი, ამ ფოტოებზე რასაც ხედავთ, მილოცვაა. ინგლისურმა, ყველაფრისმცოდნე და მნახველმა გაზეთმა „სანმა“ შეიტყო, რომ დევიდ ბექემის მეუღლე ვიქტორია მესამე ბავშვზეა ფეხმძიმედ და ეს ამბავი მსოფლიოს ამცნო. მსოფლიოს ნაწილია მადრიდის „რეალიც“, სადაც დევიდი ფეხბურთს თამაშობს და მილიონებს იღებს. ერთი სიტყვით, ჯერ თავად ვიქტორიას არ ჰქონდა ნათქვამი, რომ ეს ასეა, როდესაც მამა დევიდს მადრიდელი ბიჭები მიესიენ და აისროლეს — ცნობისთვის, ბექემები ბოლო დროს ერთად ცხოვრობენ მადრიდში. ისე აღარ არის, ერთი ლონდონში შოუ-ბიზნესს რომ მისდევდა და მეორე ესპანეთში ბურთს აგორებდა. სწორედ მაშინ გაიჩინა დევიდმა იმ მადრიდში საყვარლები.

„სანმა“ კი ზუსტად დაადგინა, რომ ვიქტორია 12 კვირის ფეხმძიმეა ანუ ბავშვი სადღაც მარტში უნდა გაჩნდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მესამე ბექემი უფროსი ძმის, ბრუკლინის დაბადების თვეში მოევლინება ქვეყანას — ბრუკლინი 5 მარტსაა შობილი. პოშის მეგობრები თუ ნათესავები ამბობენ, რომ ვიქტორიას საჯაროდ რაიმეს თქმამდე დარწმუნება უნდოდა და ერთხანს ჩუმად იმიტომ იყოო, მაგრამ დალოცვილს რაღ უნდოდა, „სანი“ ვერ წაიკითხა?

„ძალიან კარგია, ეს ყველაფერი აქამდე მაინც რომ შევინახეთ საიდუმლოდ — თქვა მამა დევიდმა — ახლა ყველა სახელის მკითხაობას დაიწყებს. ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი ესპანეთში გაჩნდეს“.

დევიდის მამა ტედი, 54 წლის: „რა სასიამოვნოა ისევ ბაბუა რომ გავხდები. თუ გოგონა გაჩნდა, დევიდი სიხარულისგან გადაირევა“.

მავანი მეგობარი: „ბავშვი ესპანეთში თუ გაჩნდება, საბუთებით ესპანელი გამოვა, მაგრამ ბექემებს ეს არ ადარდებთ“.

და ბოლოს, შეხედეთ სურათებს. ბიჭებმა მამა დევიდი ააგდეს — დაიჭირეს — ააგდეს და აღარ დაიჭირეს.

**ირაკლი კუტუზიძე**







ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. ჩემპიონატი. VI ტური

31 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 110 | რედინგი-სანდერლენდი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.45 | 111 | ქპრ-შეფილდი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |

ინგლისი. I ლიგა. VI ტური

31 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 124 | ჩესტერფილდი-პორტ ველი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 22.45 | 125 | ჰალი-ბრედფორდი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |

ინგლისი. II ლიგა. VI ტური

31 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 152 | შრიუსბერი-ჩელტენემი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |

ინგლისი. კონფერენსი. V ტური

31 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.45 | 178 | ჰალიფაქსი-კარლაილი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 22.45 | 179 | იორკი-აკრინგტონი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |

ნორვეგია. I დივიზიონი. XXI ტური

5 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 332 | ბრინი-მოსი | 1,8 | 3,6 | 3,3 | 1,19 | 1,16 | 1,72 |
| 18.00 | 333 | მანდალი-სკეიდი | 1,65 | 4,0 | 3,8 | 1,16 | 1,15 | 1,94 |
| 18.00 | 334 | პორს გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 2,3 | 3,8 | 2,35 | 1,43 | 1,16 | 1,45 |
| 18.00 | 335 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 2,1 | 3,8 | 2,6 | 1,35 | 1,16 | 1,54 |
| 18.00 | 336 | ტრომსდალენი-ალესუნდი | 4,8 | 5,0 | 1,35 | 2,44 | 1,05 | 1,06 |
| 18.00 | 337 | ვარდ ჰაუგესუნდი-პიონეფოსი | 2,25 | 3,8 | 2,4 | 1,41 | 1,16 | 1,47 |

ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXII ტური

2 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 340 | ინტერი-ჯაზი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 341 | ლაჰტი-ჰაკა | 3,1 | 3,1 | 2,15 | 1,55 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 342 | ჰიკ-მიუპა | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 19.00 | 343 | ტპ 47-კტპ | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |

ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XVI ტური

31 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 351 | ფრამი-რეიკიავიკი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,52 | 1,26 | 1,28 |

შოტლანდია. ლიგის თასი. II ეტაპი

31 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 393 | ალბიონი-პარტიკი | 6,0 | 4,2 | 1,4 | 2.47 | 1.13 | 1.04 |
| 22.30 | 394 | ალოა-ბერიკი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1.36 |
| 22.30 | 395 | ფოლკირკი-სტირლინგი | 1,45 | 4.0 | 5,6 | 1,06 | 1,15 | 2,33 |
| 22.30 | 396 | ფორფარი-ქუინზ პარკი | 1,45 | 4,0 | 5,6 | 1,06 | 1,15 | 2,33 |
| 22.30 | 397 | პიტერჰედი-როსი | 4,0 | 3,8 | 1,65 | 1,94 | 1,16 | 1,15 |
| 22.45 | 398 | კლაიდი-სტრანრარი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 22.45 | 399 | გრეტნა-კოუდენბითი | 1,45 | 4,0 | 5,6 | 1,06 | 1,15 | 2,33 |
| 22.45 | 400 | სტ.ჯონსტონი-ქუინი | 1,75 | 3,5 | 3,6 | 1,16 | 1,17 | 1,77 |

იტალია. თასი. I ეტაპი

1 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 402 | კომო-პიაჩენცა | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 22.30 | 403 | ტერნანა-რიმინი | 1,5 | 3,3 | 6,5 | 1.03 | 1,21 | 2,18 |
| 22.30 | 404 | ფიორენტინა-ვერონა | 1,25 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,09 | 2,95 |
| 22.30 | 405 | პესკარა-პერუჯა | 3,5 | 3,1 | 1,9 | 1,64 | 1,23 | 1,17 |

ჰოკეი. მსოფლიოს თასი

31 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 1102 | გერმანია-შვედეთი | 7,0 | 6,0 | 1,22 | 3.23 | 1.03 | 1.01 |
| 03.00 | 1103 | კანადა-აშშ | 1,8 | 4,0 | 3,0 | 1,24 | 1,12 | 1,71 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%


შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

## ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. I ტური

სიუდადი 1:0 კორდობა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტერასა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ვილიარეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ხიმნასტიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ეიბარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| რასინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| უელვა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ტენერიფე | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ხერესი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სელტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| პოლი ეხიდო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სიუდად მურსია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კადისი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლეიდა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ალმერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ელჩე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სპორტინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მალაგა B | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| კორდობა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პონტევედრა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ალავესი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| მურსია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სალამანკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## რუსეთი

პრემიერლიგა
XX ტური

**ამკარი 2:2 რუბინი**

1:0 პარამონი (67), 1:1 სილა (81), 1:2 ფიოდოროვი (84), 2:2 პარამონი (90)

**დინამო 0:2 ზენიტი**

0:1, 0:2 კერჟაკოვი (2, 20)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 21 | 13 | 3 | 5 | 39:24 | 42 |
| ცსკა | 21 | 11 | 7 | 3 | 34:17 | 40 |
| კრილია | 21 | 12 | 4 | 5 | 39:31 | 40 |
| ლოკომოტივი | 21 | 11 | 6 | 4 | 30:16 | 39 |
| ტორპედო | 21 | 10 | 6 | 5 | 34:22 | 36 |
| შინიკი | 21 | 8 | 7 | 6 | 21:20 | 31 |
| მოსკოვი | 21 | 7 | 8 | 6 | 27:25 | 29 |
| სპარტაკი | 21 | 8 | 4 | 9 | 31:33 | 28 |
| სატურნი | 21 | 5 | 11 | 5 | 21:19 | 26 |
| რუბინი | 21 | 5 | 9 | 7 | 22:21 | 24 |
| როსტოვი | 21 | 6 | 6 | 9 | 21:26 | 24 |
| ალანია | 21 | 6 | 5 | 10 | 19:29 | 23 |
| ამკარი | 21 | 4 | 10 | 7 | 18:29 | 22 |
| დინამო | 21 | 4 | 7 | 10 | 19:28 | 19 |
| ყუბანი | 21 | 4 | 7 | 10 | 19:30 | 19 |
| როტორი | 21 | 1 | 6 | 14 | 18:42 | 9 |

## ინგლისი

ჩემპიონატი. VI ტური

**ლესტერი 0:1 ბრაიტონი**
**ბარნლი 1:2 ჯილინგემი**
**იფსვიჩი 2:1 ვულვერჰემპტონი**
**პრესტონი 2:0 როტერჰემი**
**უიგანი 2:1 კარდიფი**
**კოვენტრი 2:1 ვესტ ჰემი**
**სტოკი 1:0 დერბი ქაუნთი**
**პლიმუთი — ნოტინგემი**

წუხელ გვიან დამთავრდა
(იხ. მე-15 გვერდზე)

პირველი ლიგა

მე-6 ტური: ბრისტოლი — ბრენტფორდი 4:1; დონკასტერი — ჰადერსფილდი 2:1; ჰარტლპული — კოლჩესტერი 2:1; ლუტონი — ბორნმუთი 1:0; მილტონი — ტორკი 1:0; პეტერბორო — ბლექპული 0:0; უოლსოლი — ოლდემი 1:1; სტოკპორტი — ტრანმერი 1:1; უოლსოლი — სუინდონი 3:2; ჰალი — ბარნსლი 2:1

მეორე ლიგა

მე-6 ტური: ბოსტონი — ჩესტერი 3:1; ბერი — კიდერმინსტერი 4:0; დარლინგტონი — კემბრიჯი 1:1; ლეიტონი — როჩდეილი 2:1; მანსფილდი — იოვილი 4:1; ნოტსი — ოქსფორდი 0:1; რაშდენი — როვერსი 0:0; სკანთორპი — ნორთჰემპტონი 2:0; საუთენდი — მაკლსფილდი 2:1; სუონსი — ლინკოლნი 1:0; უიკომბი — გრიმსბი 1:0

კონფერენსი

მე-5 ტური: უოკინგი — ალდერშოტი 1:2; ბარტონი — სკარბორო 2:3; კონვი — ბარნეტი 0:1; ქროული — დაგ ენდ რედი 2:0; ფარნბორო — ექსეტერი 2:1; ფორესტ გრინი — გრეივსენდი 1:5; მორიკომბი — ლეი 2:1; ნორთვიჩი — ჰერეფორდი 1:4; სტივენეიჯი — ტემუორთი 2:0; ჰალიფაქსი — კარლაილი გადაიდო

## პორტუგალია

სუპერლიგა. I ტური

**ბეირა მარი 2:3 ბენფიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეტუბალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბელენენსეში | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| სპორტინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ბენფიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ბოავიშტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| გიმარაეში | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ეშტორილი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მორეირენსე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| რიუ ავე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| აკადემიკა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბრაგა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჟილ ვისენტე | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ბეირა მარი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ნასიონალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პენაფიელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| მარიტიმუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# ფეხბურთი

## ირლანდია

პრემიერ დივიზიონი

25-ე ტური: ბოჰემიანსი — შემროკი 3:2; დროგედა — დუბლინი 2:1; სენტ პატრიკსი — უოტერფორდი 2:1; შელბურნი — ლონგფორდი გადაიდო

## შვედეთი

სუპერეტა

22-ე ტური: ფრიოლუნდა — ფრისკა 3:1; ბოდენი — ატვიდაბერგი 1:1; ბრაგე — ასირისკა 1:2; კაფე ოპერა — ფალკენბერგი 0:0; გაის — ჰაკენი 0:2; გეფლე — ენკიოპინგი 1:1; ნორჩიოპინგი — ბრომაპოიკარნა 1:1; ვასტერასი — იოსტერი 2:2

## ბულგარეთი

უმაღლესი ლიგა

მე-4 ტური: სლავია — ნესებრი 4:1; ჩერნო მორე — ბელასიცა 3:0; ლოკომოტივი(ს) — პირინი 0:0; სპარტაკი — როდოპა 0:1; ბეროე — ლოკომოტივი (პ) 2:1; ვიდიმა — ლიტექსი 1:2; ლევსკი — მარეკი 3:2; ნაფტექსი — ცსკა 0:4

## ხორვატია

1. HNL

მე-6 ტური: პულა — ვარტექსი 3:0; მედიმურიე — კამენი 1:4; ზაგრები — სლავენი 0:2; ჰაიდუკი — ზადარი 4:0; ინტერი — დინამო 1:0; რიეკა — ოსიეკი 4:0

## უნგრეთი

NB1

მე-4 ტური: ლომბარდი — კაპოშვარი 4:1; დებრეცენი — ვიდეოტონი 3:0; პეჩი — დიოშდიორი 2:1; შოპრონი — ვაშაში 1:1; ზალაეგერსეგი — დიორი 2:0; ფერენცვაროში — მტკ 2:1; უიპეშტი — ნირედიჰაზა 3:3; ჰონვედი — ბეკეშჩაბა 2:0

## რუმინეთი

A დივიზიონი

მე-5 ტური: სპორტული — ფარული 1:1; ნაციონალი — აპულუმი 3:0; ბრაშოვი — გლორია 1:3; ბაკაუ — რაპიდი 2:1; CFR — დინამო 4:2; პოლიტეხნიკა — არჯეში 1:1; სტიაუა — უნივერსიტატია 5:0; პოლი — ოცელული 2:1

## სერბეთი

პირველი დივიზიონი

მე-4 ტური: ბორაცი — ჰაიდუკი (კ) 0:2; ობილიჩი — ჰაიდუკი (ბ) 1:0; ბელგრადი — ვოივოდინა 2:0; ბუდუჩნოსტი — ჩუკარიჩკი 0:0; ჟელეზნიკი — ზეტა 1:3; რადნიჩკი — სუტიესკა 0:0; სარტიდი — პარტიზანი 1:3; ცრვენა ზვეზდა — ზემუნი 1:0

## სლოვაკეთი

პირველი ლიგა

მე-5 ტური: დუბნიცა — ჟილინა 3:1; პუხოვი — ინტერი 2:1; რუჟომბეროკი — ტრენჩინი 1:1; ბისტრიცა — ტრნავა 4:2; სობოტა — პეტრჟალკა 0:1

## სლოვენია

სი მობილ ლიგა

მე-5 ტური: ლიუბლიანა — დრავა 1:1; პრიმორიე — პუბლიკუმი 1:0; ბელა — ოლიმპია 1:0; დომჟალე — კოპერი 1:1; ნურა — ზაგორიე 2:0; მარიბორი — ნოვა გორიცა 1:2

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა

მე-6 ტური: კრიუბასი — მ. ზაპოროჟიე 0:0; მეტალისტი — არსენალი 1:1; შახტარი — ბორისფენი 2:0; დინამო — ჩერნომორეცი 3:1; ტავრია — ობოლონი 0:1; ზაკარპატია — ვორსკლა 1:0; ილიჩევეცი — დნიპრო 3:0; ვოლინი — მ. დონეცკი 1:2

## მექსიკა

აპერტურა

მე-3 ტური: ხაგუარესი — ატლასი 1:2; მონტერეი — კრუზ ასული 3:0; მორელია — ველაკრუზი 1:2; გვადალახარა — ტოლუკა 1:1; ნეკახა — ტიგრესი 2:1; ატლანტე — ტეკოსი 4:0; პუებლა — დორადოსი 1:1; სანტოსი — ამერიკა 1:1

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა პირველი 16 ჩემპიონატი ლიგა წრე 5 ტური



ბევრი იხტუნა თუ ცოტა, გიორგი ცინაძე ბურთს მაინც ვერ მისწვდა

თბილისი. 30 აგვისტო. 19 საათი. ეროვნული. 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:0 ზესტაფონი

1:0 გონჩაროვი (45პ), კაშია (68)

| დინამო | ზესტაფონი |
|---|---|
| დინამო: მამალაძე, ჭიჭველიშვილი, შაშიაშვილი, გიგაური, კვირკველია, კაშია, გრიგალაშვილი, რომერო, ბურდული (ალადაშვილი 46), დვალი (კაკალაძე 63), გონჩაროვი (მელქაძე 85) სათადარიგონი: თოთლაძე; კანდელაკი, ხმალაძე, კანკავა | ზესტაფონი: ცინაძე, გ. ქუთათელაძე, კახნიაშვილი, რაქვიაშვილი, ძამსაშვილი, სულაკაძე (გ. ნოზაძე 76), ნუდნი (ი. ბარბაქაძე 60), შავგულიძე, გ. თურმანიძე, მელიქია, ჩილვინიძე (კვერნაძე 79) სათადარიგონი: თ. ოდიკაძე; ძაგნიძე, ხინგავა, შუკაკიძე |
| მწვრთნელი: გია გეგუჩაძე | მწვრთნელი: ვლადიმირ ზემლიანოი |

გაფრთხილება: ქუთათელაძე (76)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ვ. ელისაბედაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო



შოთა გრიგალაშვილმა სტუმრებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა

# პლუსები და პოლუსები

**კახა შალამბერიძე**

„ზესტაფონმა“ 45 წუთი გაძლო, თითქმის მთელი ტაიმი. სხვა ამ თამაშში საინტერესო რა უნდა ყოფილიყო?! თავიდანვე იოლი მისახვედრი იყო, როგორ დასრულდებოდა ჩემპიონატის ლიდერისა და აუტსაიდერის შეხლა. „დინამომ“ 2:0 მოიგო ისე, რომ ზედმეტად არ უნერვიულია.

გოლი კი გაუჯანჯლდათ თბილისელებს. ტაიმი სენსაციური 0:0-ით მთავრდებოდა, საჯარიმოში შევარდნილ ბორის გონჩაროვს ზესტაფონელებმა სარმა რომ გამოსდეს. პენალტი თავად გონჩაროვმა დაარტყა და მეკარეს შანსიც არ დაუტოვა — 1:0.

მანამდე დინამოელებს სამი კარგი მომენტი ჰქონდათ, თუმც დავით კვირკველიამ, ჯაბა დვალმა და შოთა გრიგალაშვილმა ძელს ვერ „გადააბიჯეს“.

თამაშზე ბევრიც არაფერია სათქმელი და ამას არც ვაპირებ. ოღონდ, შოთა კაშიას გოლზე რომ არ ვთქვა, არ შეიძლება. თუ დავწვრილმანდებით, ეს გოლი გიორგი ცინაძის „საკუთრებაა“, თუმც ოქმურ ნიუანსებში ჩაკირკიტებას მომენტის აღწერა სჯობს — კაშიამ საჯარიმოს გარედან, დაახლოებით 25-30 მეტრიდან გაისროლა და ბურთიც თითქოს ცინაძის ნადავლი იყო, თუმც ზესტაფონელთა მეკარე შეცდა და... ორი-სამი ნახტომის მიუხედავად, კარში შეცუნცულებულ ბურთს ველარ მიუსწრო — ასე გახდა 2:0 68-ე წუთზე.

*ვლადიმირ ზემლიანოი:* დღემდე რაც ვითამაშეთ, ყველასთან წავაგეთ და გუნდში ფსიქოლოგიური განწყობა დაეცა. ბიჭები მოშლილები არიან. ჯერ სულ რაღაც ორი თვის გუნდი მყავს, თუმც ვფიქრობ, დღეს ადრინდელზე გაცილებით უკეთ ვითამაშეთ. იმედი მაქვს, თანდათან კიდევ მოვუმატებთ და მერე ქულებსაც ავიღებთ. ჩემთვის ახლა უმთავრესი შედეგია, რომელიც ძალიან ცუდი გვაქვს. ხუთი ტურის მერე ნული ქულით არც ერთი მწვრთნელი არ იქნება კმაყოფილი. „დინამო“ ძალიან მომეწონა, სწრაფად თამაშობს და ამ გუნდის ყურება დიდი სიამოვნებაა, მაგრამ ჩვენთან მოგებაში მსაჯიც დაეხმარა.

*ნესტორ მუმლაძე,* „დინამოს“ მწვრთნელი: ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დავასვენეთ და შანსი სათადარიგოებს მივეცით. მართალია, მატჩის ხარისხი საუკეთესო არ იყო, მაგრამ შედეგით კმაყოფილები ვართ. ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ.

ბათუმი. 30 აგვისტო. 17 საათი. დინამო. 2 000 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:1 თბილისი

0:1 მიქაძე (6), 1:1 ექონია (85)

| ბათუმი | თბილისი |
|---|---|
| ბათუმი: გრიშიკაშვილი, ექონია, ბეგლარ თედორაძე , მანჩხავა, ბესო თედორაძე (ი. შენგელია 55), ხუჯაძე (ი. მახარაძე 65), ქაცარავა (ხომერიკი 46), დარჩიძე, ფირცხალაიშვილი, გ. ნოდ. ჭელიძე სათადარიგონი: ბალაძე; ცანავა, ჩიკვილაძე | თბილისი: დევაძე, ხოჯავა (ფიფია 61), ქემოკლიძე, გ. კვარაცხელია, გეწაძე (მიკუჩაძე 65), მესხი, გ. ვ. მიქაძე, ელიავა, გოგუა, ორბელაძე, დ. ოდიკაძე (ლოლაძე 74) სათადარიგონი: შეყრილაძე; ხამხარაძე, ფლენტი გ. ნუგ. ჭელიძე |
| მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი |

გაფრთხილება: გ. ნოდ. ჭელიძე (6)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი) ი. აფციაური (დუშეთი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

# ზღვისფერი ფრე

**გიორგი მურვანიძე ბათუმიდან**

პოლონური 0:6-ის შემდეგ „თბილისი“ ბათუმს ესტუმრა, სადაც მშვენიერი საფეხბურთო ამინდი და სავსე ტრიბუნები დახვდა.

„ბათუმმა“ რაღაც უმარილოდ დაიწყო თამაში. მატჩი ხუთი წუთის დაწყებული იყო, ფეხბურთელებს ბურთი ხეირიანად არც გაეგორებინათ, როცა ანგარიში უკვე თბილისური იყო. გოლი მცველების დაუდევრობას მოჰყვა: მარჯვენა ფლანგზე ხოჯავამ ორი მცველი მოატყუა და გადააწოდა მიქაძეს, რომელმაც მეკარისგან მარცხენა კუთხეში დაარტყა და გრიშიკაშვილიც დაამწუხრა — 0:1.

გაშვებულმა გოლმა მთლად მოადუნა ბათუმელები და ათი წუთი სტუმრებმა ბურთის გორებაში გალიეს. უეცრად კი ფირცხალაიშვილი ორბელაძეს „მიეპარა“, ბურთი აართვა და დევაძესთან პირისპირ აღმოჩნდა. კაკო მომხდურს ფეხებში ჩაუხტა და სიტუაცია განმუხტა.

25-ე წუთზე ისევ ხოჯავამ იაქტიურა მარცხენა ფლანგზე და მშვენივრად გადააწოდა ბურთი გეწაძეს. გრიშიკაშვილი ოდნავ წინ იყო, ეს შეამჩნია გეწაძემ და თავზე გადაუგდო მეკარეს, მაგრამ ექონიამ კარის ხაზიდან თავით გამოიტანა ბურთი და აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები. საერთოდაც, პირველ ტაიმში თბილისელთა მარცხენა ფლანგი აქტიურობდა და აკი გეწაძემ და ხოჯავამ აწიოკეს ბათუმელთა დაცვა.

35-ე წუთზე გრიშიკაშვილმა ბურთი ააგდო და ცენტრისკენ დასარტყმელად მოემზადა, როცა მიქაძე მიეპარა, ბურთი აართვა და კარში შეაგორა. ზურგით მდგომ მსაჯს ეპიზოდი გამოეპარა, მაგრამ გოლი მაინც გააუქმა.

ტაიმის ბოლო წუთებზე ბათუმელები გააქტიურდნენ და შეტევებსაც უხშირეს. ანგარიშის გასათანაბრებლად დაძრული „ბათუმი“ სტუმრებმა კონტრშეტევაზე დაიჭირეს, ისარგებლეს ცენტრის ხაზთან დარჩენილი მცველების პოზიციური შეცდომით და მიქაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

მეორე ტაიმში ინერტული ქაცარავას ნაცვლად ხომერიკი შემოვიდა და ბათუმელთა თამაშიც აშკარად გამოასწორა.

50-ე წუთზე ხომერიკმა და დარჩიძემ კედელი გაითამაშეს. დარჩიძემ მკერდით დააგდო ბურთი, ხომერიკმა კი ძლიერად, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

ნახევარი საათის განმავლობაში სამი სახიფათო მომენტი შეიქმნა, სამივე ბათუმელებისა იყო, მაგრამ 85-ე წუთამდე ჭაღარა დევაძეს ვერაფერი დააკლეს. 85-ე წუთი კი თბილისელთათვის საბედისწერო გამოდგა. ექონიამ შორიდან ჯარიმა დაარტყა. თბილისელ მცველს ბურთი ტერფქვეშ გაუძვრა, შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელში გაიხლართა, დევაძემ ნახტომი დააგვიანა და ბურთი მისგან მარჯვენა კუთხეში აღმოჩნდა — 1:1. „ბათუმმა“ და მისმა ქომაგებმა უზომოდ გაიხარეს.

მასპინძლებმა ბოლო ხუთი წუთი თბილისელები საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს, რამდენჯერმე სახიფათოდაც დაურტყეს დევაძეს, მაგრამ იგი კედელივით იდგა...



კაკო დევაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | 16:4 | 13 |
| ტორპედო | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 13 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:3 | 10 |
| თბილისი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:7 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 0 | 2 | 12:10 | 9 |
| ბათუმი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:17 | 6 |
| კოლხეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |
| დილა | 5 | 0 | 0 | 5 | 4:12 | 0 |
| ზესტაფონი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:15 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი 16 ლიგა 3 ტური

# გოლების სათბური
## ამერი გლდანში ასე უბერავს

**დავით თავართქილაძე**

თბილისი. 30 აგვისტო. 17 საათი. ფკ ამერის სკოლა. 260 მაყურებელი

### ამერი 6:0 კახეთი

1:0 მჭედლიშვილი (6), 2:0 კაიდარაშვილი (38), 3:0, 4:0, 5:0 დავითაშვილი (39, 60, 61), 6:0 წინამძღვრიშვილი (86)

| | |
|---|---|
| ამერი: ნაჭყებია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი (გვაძაბია 71), ელბაქიძე, სილაგავა, კაიდარაშვილი, დეკანოსიძე, მჭედლიშვილი, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 66), სევასტოპულო (ბუალავა 66) | კახეთი: იაშვილი, ტარუღაშვილი, კობაიძე, დინგაშვილი, დავითაშვილი, კუპრაშვილი, არუდაშვილი (გიგაური 64), კევლიშვილი (გელაშვილი 56), პეტრიაშვილი (იოსებაშვილი 64), ბურდული, ტოკლიკიშვილი |
| მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | მწვრთნელი: ალბერტ ბაჩუკაშვილი |

მსაჯები: ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, გ. დოგრაშვილი; ლ. ფანიაშვილი

ამ მატჩამდე „ამერი“ და „კახეთი“ გათამაშების ცხრილში პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებდნენ, მაგრამ გუშინდელმა თამაშმა გვაჩვენა, რომ ისინი სხვადასხვა პოლუსებზე არიან. აქ პირველ რიგში მომზადების დონეზე უნდა ვთქვათ — ორი წელია, „ამერი“ სეზონისწინა და საშუასეზონო შეკრებას უცხოეთში ატარებს, „კახეთს“ კი ამის საშუალება არ გააჩნია.

თუმც, ოდენ კარგი მომზადება თამაშს ვერ მოიგებს. „ამერს“ უფრო სახელიანი და გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს, „კახეთში“ კი დავით პეტრიაშვილი თამაშობს, ვინც 90-იან წლებში ერთ-ერთ უნიჭიერესს ქართველ ფეხბურთელად ითვლებოდა. გუშინ თუ „კახეთმა“ რამდენიმე გააზრებული და მწვავე იერიში გაახერხა, ყველა პეტრიაშვილის ჩაუქობას მოჰყვა, თუმც „ამერისთვის“ გოლის გასატანად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ამერი“ კი ის გუნდი არაა, რაც წინა სეზონში იყო. ამერელები თითქოს ხელახლა დალაგდნენ, ბევრად უფრო მობილურ კოლექტივს დაემსგავსნენ. „ამერს“ ბევრს სძენს ორი ახალწვეული — გიორგი დეკანოსიძე და სულიკო დავითაშვილი, ახალგაზრდებიდან კი დავით მჭედლიშვილისა და გიორგი ელბაქიძის გამორჩევა ეგების. კარგად შეეგუა ახალ ამპლუას ალექსანდრე კაიდარაშვილი — ის თავდასხმიდან საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გადაიყვანა გიორგი ჩიხრაძემ და „ამერის“ ხერხემალიც გამაგრდა.

...კაიდარაშვილ-სევასტოპულოს კომბინაციის შემდეგ დავითაშვილმა მჭედლიშვილს უპასა, რომლის თავური უნაკლო გამოდგა. გოლის შემდეგ „ამერი“ თითქოს დაცხრა და სტუმრებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ, მაგრამ თელაველთა წინააღმდეგობა ხანმოკლე აღმოჩნდა — გიორგი სილაგავას დარტყმული „კახეთის“ მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ კაიდარაშვილმა 15-16 მეტრიდან ეფექტურად დაამატა და 2:0. ჰეთ თრიქი კი დავითაშვილმა დეკანოსიძის პასით დაიწყო — მცველი ჩამოიტოვა, პაუზით მეკარე მინდორზე დააწვინა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად გადაწყდა — სამი ბურთის ამომქაჩველი „კახეთი“ ნაღდად არ იყო.

შესვენების შემდეგ დავითაშვილმა ჯერ მჭედლიშვილის ჩაწოდებით იხეირა, მერე დეკანოსიძის, ხოლო წერტილი რატი წინამძღვრიშვილმა დასვა ლამაზად — მარცხენა მახვილი კუთხიდან ისეთი დაარტყა, ლამის ბურთიანად შეიტანა ყველაფერი ბადეში.

...მეორე საშინაო მატჩი ახალ სტადიონზე და მეორე 6:0. უკეთესი რა უნდა იყოს...



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

სულიკო დავითაშვილი პირველ ლიგაშიც ბომბარდირობას უმიზნებს



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

ალექსანდრე კაიდარაშვილმა თელაველები მიწი-მოწია

**სპარტაკი 3:1 ბორჯომი**

**მაღაროელი 1:1 რუსთავი**

**საგარეჯო 0:4 ვიტ ჯორჯია**

**დინამო 2 — მერანი**
დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 3 | 3 | 0 | 0 | 14:0 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| კახეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:9 | 6 |
| ჩიხურა | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| გურია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ცხინვალი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:7 | 4 |
| დინამო 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| მაღაროელი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ივერია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ოლიმპი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| რუსთავი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| საგარეჯო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:10 | 1 |
| ლოკომოტივი 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:11 | 1 |
| მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

# იაშვილი თბილისში თბილისში იქნება

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს ჯერაც დინამოელი სანდრო იაშვილი საქართველოში გააგრძელებს კარიერას. სანდრო ახლა მოსკოვშია, მაგრამ ხვალ ალაბთ უკვე თბილისში იქნება. გუშინ კი მას მოსკოვში შევეხმიანეთ.

— გავიგეთ, შენი იჯარით აყვანა „თბილისს“ სურს...

— ალბათ ასეც იქნება.

— „კრილია სოვეტოვში“ შენი ტრანსფერი რატომ არ შედგა?

— „კრილიას“ მწვრთნელი ჩემით კმაყოფილი იყო, მაგრამ...

— „დინამომ“ შენში ბევრი მოითხოვა?

— ალბათ, როგორც მე შევიტყვე, კლუბები ფინანსურად ვერ მორიგდნენ.

**დავით თავართქილაძე**

# მიხეილ ყაველაშვილი ექიმებმა შეაშინეს

**ვლადიკავკაზის** „ალანიას“ ქართველმა თავდამსხმელმა მიხეილ ყაველაშვილმა სეზონი ნაადრევად დაასრულა. ასეთია ექიმების წინასწარი დიაგნოზი. ჩვენებური რუსული პრემიერლიგის მე-20 ტურში, კრასნოდარის „ყუბანთან“ მატჩში დაშავდა.

შეგახსენებთ, რომ ყაველაშვილი ორიოდ თვის წინ გადავიდა „ალანიაში“ შვეიცარიული „სიონიდან“, ახალ კლუბსაც იოლად მოერგო და ძირითადი შემადგენლობის კაცად ითვლებოდა, თუმც ბედმა უმუხთლა და... ახლა უკვე თბილისშია.

ოსი მედიკოსების თქმით, ყაველაშვილს, სულ მცირე, ცხრა თვით მოუწევს ფეხბურთთან განშორება, რაც მიშას ასაკში ალბათ კარიერის დასრულებასაც ნიშნავს. თან სეზონის ბოლოს მას „ალანიასთან“ კონტრაქტიც უმთავრდება.

ოსები კი ქართველი თავდამსხმელის განმეორებით სამედიცინო გამოკვლევას უკვე აღარც ელოდებიან და სხვა ფორვარდის გადაბირებას ეშურებიან — ეს დღეებია, „ალანიაში“ ხორვატი, მაროკოელი და ბოსნიელი ფეხბურთელები ისინჯებიან და როლან კურბისი მათგან ერთს დაიტოვებს.

**ლუკა თალაკვაძე**



მიხეილ ყაველაშვილს „ყუბანთან“ მატჩი ძვირად დაუჯდა

**გერმანია**
პრემიერლიგა. IV ტური
პორტსმუთი 4:3 ფულემი
ჩემპიონატი. VI ტური
პლიმუთი 3:2 ნოტინგემი

**ინგლისი**
II ბუნდესლიგა. III ტური
კიოლნი 2:0 აინტრახტი

**ესპანეთი**
პრიმერადივიზიონი. I ტური
ვალენსია 2:1 ვილიარეალი

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. V ტური
ტრუა 1:2 ლორიანი

**პორტუგალია**
სუპერლიგა. I ტური
აკადემიკა 2:2 ბრაგა

**შვედეთი**
ალსვენსკა. XVIII ტური
ელფსბორგი 0:1 კალმარი
იორებრო 0:2 იურგორდენი
იორგრიტე 0:2 მალმიო
ჰამარბი 1:1 ჰალმსტადი

**ნორვეგია**
ტიპელიგა. XIX ტური
ტრომსიო 2:0 ბოდიო გლიმტი

**ისლანდია**
პრემიერდივიზიონი. XVI ტური
ფილკირი 0:1 აკურეირი
აკრანესი — კეფლავიკი გადაიდო
გრინდავიკი — ჰაფნარფიორდური გადაიდო

**ჩეხეთი**
გამბრინუს ლიგა. IV ტური
ლიბერეცი 3:0 სიგმა
სლავია 3:0 ბრნო

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ ფორეჯავაშვილის ფოტო

# ზვიადაურმა ხაბარელს მოსკოვის ოქრო დაავიწყა

*ისინი აქ არიან, საქართველოს მიწაზე! ჩვენმა ოლიმპიელმა გმირებმა მთელ მსოფლიოს დაანახეს ერთი მუჭა ქვეყანა, რომელსაც ათასგვარი გაჭირვების მიუხედავად, დიდი გამარჯვების გამოჭედვა შეუძლია.*
*ერთ ნახვად ღირდა თავისუფლების მოედანი, ფოიერვერკები, ერთ მუშტად შეკრული ხალხი, ხმაჩახლეჩილი შეძახილები და ამ ყველაფერს აუფერულებდა „ფორმიანი ბიჭებისა და ბიძიკოების" გადამეტებული წესრიგი, უშეხავად გასროლილი სიტყვები. ასეთ ჯაჯგურში ძლივს მოვიხელთეთ ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი – უბედნიერესი კაცი, რომლის გამოწვრთნილებმა ოქრო-ვერცხლით გაახარეს ქართველი ერი*

— ზურაბ ზვიადაურის ჩემპიონობამ მეორე დიდი სიხარული მომანიჭა. პირველი იყო ჩემი ოლიმპიური ოქრო, რომელიც უკვე აღარც მახსოვს. ზურაბმა ყველა სიხარული გადაფარა. დახვედრა კი მართლაც სასწაულია, რომ მცოდნოდა, ხალხი ასე გაიხარებდა, ორჯერ მეტ მედალს ჩამოვიტანდით.

**— ათენში როგორ შეაფასეს თქვენი ნაკრების გამოსვლა?**

— მხოლოდ ქების სიტყვებით. ორგანიზატორებმა მადლობა გადაგვიხადეს ლამაზი ჭიდაობისთვის, ყველა გვილოცავდა და ქართველების სიძლიერეს აღნიშნავდა.

**— მსაჯობაზე რომ არ გკითხოთ, არ შეიძლება...**

— პრინციპში, ისე გამოვიდა, რომ ორი მედალი წაგვართვეს. მარგოშვილს ბულგარელთან, ხოლო ქევხიშვილს ბრაზილიელთან ცუდად მოექცნენ. თუმც, ტროფიმოვმა ამის შემდეგ გამოასწორა სიტუაცია, როცა ნახევარფინალში ზვიადაურის ბრიტანელ მეტოქეს ვადამდე ადრე მისცა მესამე გაფრთხილება.

**— ტროფიმოვი არაერთხელ ყოფილა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე და აქამდე მისგან ქართველების გამწარება არ გვახსენდება. ათენში რა მოხდა?**

— ნამდვილად არ ვიცი, ტროფიმოვთან პირისპირ არ მისაუბრია, თანაც ზურაბის ოქრომ ვითარება შეარბილა და გამწვავებაზე აღარ წავსულვართ. თუმც, ქევხიშვილის ბრძოლის შემდეგ რომ ზვიადაურის შეხვედრაზეც დანიშნეს, ძალიან შემეშინდა.

**— ბრიტანელებს ხომ არ გამოუთქვამთ პროტესტი?**

— არა. საეჭვო არაფერი იყო, ბრიტანელი გორდონი აშკარად გაურბოდა ზვიადაურს.

**— ფინალის წინ როგორი დარიგება მიეცით ზურაბს?**

— პირველ რიგში, კისრულის საშუალება არ უნდა მიეცა იაპონელისთვის და მაქსიმალურად ეფრთხილა. ხუთიანზე შეასრულა, მისი ბრძოლა ტექნიკური და აკადემიური სტილის ნაზავი იყო. თანაც, ზურაბს ფეხი ძალიან სტკიოდა.

**— ყველაზე მეტად რომელ შეხვედრაში განერვიულდით?**

— უდავოდ, ფრანგ დემონფუკონსთან. ეს იყო ფინალის ტოლფასი დაპირისპირება, დემონფუკო ფრთხილად და ეშმაკურად ჭიდაობდა. თავადაც ნახეთ, რომ ზურაბმა ამ შეხვედრის გარდა ყველა იოლად მოიგო, ფინალშიც ორ წუთში მოერია იზუმის.

**— ჩვენ რაც ვნახეთ, ზვიადაურისნაირი ილეთები ათენში არავის გაუკეთებია...**

— იგივე აღნიშნეს ორგანიზატორებმა და სპეციალისტებმაც, ზურაბს ყველაზე ტექნიკური ძიუდოისტად აღიარებდნენ.

**ილია ნანოგაშვილი**



გურამ ფორეჯავაშვილის ფოტო



ესეც შეპირებული 400 000!

ელექტრონული ბიბლიოთეკა





გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# გუშინ თავისუფლების მოედანი გმირთა მოედანი იყო

*თავისუფლების მოედანი არც ისე დიდია, საქართველო დაიტიოს და არც ისე პატარა, მთელი ქვეყნის სიხარულს ვერ გასწვდეს. გუშინ მთელ საქართველოს თბილისის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე სურდა ყოფნა, რადგან იქ იყო ჩვენი ქვეყნის სიხარული და ამ სიხარულის ხალხისთვის მიმნიჭებელი ჩვენი ოლიმპიელები*



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მაგრამ სანამ საქართველოს ახალშობილი გმირები ხალხით გაჭედილ თავისუფლების მოედანზე გამოჩნდებოდნენ, იყო მოლოდინი. იგი არ ჰგავდა იმ მოლოდინს, ოლიმპიური ოქრო-ვერცხლზე მოფიქრალი ქართველლობა გატრუნული რომ უჯდა ტელევიზორს და მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონებს ქომაგობდა. ეს იყო უკვე განცდილი სიხარულის ცოცხალი მოლოდინი, რომელიც თბილისის აეროპორტიდან ნელ-ნელა უახლოვდებოდა ამ ოქრო-ვერცხლის ჭეშმარიტ მფლობელებს, ქართველ ხალხს.

რა თქმა უნდა, ათენელების გამოჩენამდეც აუწონელი სიხარული სუფევდა თბილისის მუნიციპალიტეტთან. გმირების მოსვლამდე, ხალხმა ვინ მოსთვლის, მერამდენედ ნახა ტელეეკრანზე ზურაბ ზვიადაურის ჯადო იპონები, ნესტორ ხერგიანის სხარტი მოგვერდები, რამაზ ნოზაძის გაუტეხელი სახე და გიორგი ასანიძის მიერ ზეალმართული... საქართველო. დიახ, საქართველო, რადგან ასანიძემ რომ ის საჩემპიონო 205 კილოგრამი ასწია, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი სიხარულისგან ალბათ ისე შეხტა, როგორც თავად გიორგი უკვე ოლიმპიური ჩემპიონის რანგში.

სალამოს წამყვანი ჩვენი ოლიმპიელების თითოეულ ნაბიჯს ითვლიდა ხალხის გასაგონად — „ჩვენი გმირები თბილისის აეროპორტში დაეშვნენ", „ისინი გზაში არიან", „ხუთი წუთიც მოვიცადოთ"... და ამ დროს მოულოდნელად მერიის აივანზე ოთხ ქართველ მედალოსანს ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოუძღვა. პრეზიდენტმა აქო და ადიდა ოთხეული, გვერდში მდგომ გიორგი ასანიძეს ძმაბიჭივით სულ ხელები უპარტყუნა მხარზე და არ დაივიწყა დიდი პერსპექტივის მქონე არსენ კასაბიევიც, რომელმაც ხუთჯვრიანი დროშის ქვეშ ათენში გამოსვლის გამო სამხრეთ ოსეთის მთავრობა გადაიმტერა.

სიხარულმა პიკს მაშინ მიაღწია, ჩვენი ოლიმპიელები მერიის აივნიდან სცენაზე რომ დაეშვნენ და ხალხს მადლობა უთხრეს.

პათოსი ერთი იყო: „ეს გამარჯვება თქვენი დამსახურებაა!" ეგებ ბევრმა ვერც გაიგონა და, გიორგი ასანიძემ სამადლობელი სიტყვა რომ დაამთავრა, ოლიმპიური ოქრო ტუჩებთან მიიტანა, აკოცა და მიკროფონის მოშორებით თქვა — „ეს თქვენია!"

დიახ, ხალხის იყო ეს ოქრო-ვერცხლი და ხალხში გაერივნენ ტრიბუნიდან ჩამოსული ოლიმპიელებიც. ძალიან ბევრი სიხარულისგან ტიროდა. სულ რომ არ იცნობდა, ისეთი ხალხი ეხვეოდა ზურაბ ზვიადაურს და ზვიადიც მთელი გულით, გრძნობით კოცნიდა მათ.

ახმეტელებიც გამოჩდნენ, რომლებსაც გუგული აბრამიშვილი, ზურაბ ზვიადაურის გამზრდელი მწვრთნელი მოუძღოდა სინზე დახვავებულ ცხრამეტნაოჭა ხინკლებით, მცირე პურ-მარილითა და, რა თქმა უნდა, კოკა ღვინით.

იქით ასანიძეს კისერზე ეკიდებოდნენ ჟურნალისტები და უბრალო ხალხი. მისი ამაგდარი ვანო გრიქუროვი კი იძახდა, სანამ გიოს მკერდზე დაკიდებული ოქრო არ დავინახე, ვერ გამეგო, რა ხდებოდა, სიხარულისგან ყველანაირი შეგრძნება დაკარგული მქონდაო.

ყურადღებას არც „ვერცხლოსნებს" აკლებდნენ. ნესტორ ხერგიანი მილწეულითაც კმაყოფილი იყო. გვითხრა, ტადაჰირო ნომურა ისე კლდესავით იდგა, ბულდოზერი ვერ წააქცევდაო. ორთაბრძოლაში ჩაბმა არც უცდია, თორემ რამე ილეთზე აუცილებლად წამოვიკიდებდიო.

რამაზ ნოზაძემ კი ხელები გაშალა, ძმაბიჭებს გადაეხვია და ათასი მილოცვა რომ მიიღო, ხალხთან ერთად, ხუთჯვრიანი დროშების „ესკორტით" გაუყვა ბარათაშვილის ხიდისკენ მიმავალ გზას.

გუშინ ერთად იყო საქართველო. ერთად იყო არა ფიზიკურად, არამედ გრძნობით, გამარჯვების ჟინით და ამ გამარჯვებით გამოწვეული სიხარულით. ათი ამდენი სიხარულის იმედით ქართველი ოლიმპიელები ჩინურ ოლიმპიადამდე გვემშვიდობებიან...

**ირაკლი პერტაია**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლილი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოცხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge